საერთო გაზეთი

№28 (667)
ოთხშაბათი
31 აგვისტო,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

საქართველოს ჰყავს გმირი ხელისუფლება, ახლა ქართველი ხალხის, ქართული საზოგადოების გმირობის დროა!

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

ამ მოღალატე ოპოზიციამ, შეიძლება, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებამდე მიგვიყვანოს!

რატომ შეჯდა ელჩი დეგნანი „ნაციონალების“ ჯაგლაგ სახედარზე?

სოსო მანჯავიძე:

საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

დესტაბილიზაცია საქართველოში გამოიწვევს გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევას ამიერკავკასიაში

მსოფლიოს მერვე საოცრება

ვახტანგ ხომიზურაშვილი:

ლარის ზომიერად გაუფასურების არ უნდა შეგვეშინდეს

ლარი იმიტომ გამყარდა, რომ უშუალოდ, ჩვენს ვალუტაზე მოთხოვნა გაჩნდა

რიჩარდ ბლეიკი: უკრაინაში ომი ფეხბურთის მატჩს დაემსგავსა

მიხეილ სააკაშვილის მორიგი აფერა კოდური სახელწოდებით - „ჭუჭუ“

„საერთო გაზეთი“ - გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

საქართველოს ჰყავს გმირი ხელისუფლება, ახლა ქართველი ხალხის, ქართული საზოგადოების გმირობის დროა!

ვახტანგ ხარჩილავა

ხშირად გაიგონებთ, საქართველო დამოუკიდებელი არ არის, საქართველო კოლონიააო.

ვთქვათ, საქართველო კოლონიაა, მაგრამ, საინტერესოა, ვისი კოლონიაა ის.

თუ საქართველო კოლონიაა, ვინმესი უნდა იყოს და იმ ვიღაცის პატრონაჟის ქვეშ უნდა არსებობდეს.

ბოლო წლებში საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკაში ამერიკის როლი სჭარბობს და აქედან გამომდინარე, შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ ჩვენ ვართ ამერიკის კოლონია, მაგრამ, როგორ შეიძლება ამერიკის კოლონია ვიყოთ, თუ ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარია.

ანდა, როგორ შეიძლება ევროკავშირის კოლონია ვიყოთ, როცა ჩვენი ქვეყანა ცდილობს შევიდეს ევროკავშირის შემადგენლობაში და მივისწრაფვით მისკენ?!

რუსეთის კოლონია რომ ვიყოთ, რუსეთი ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას კი არ მოახდენდა, არამედ, კოლონიზირებული ვიქნებოდით და მორჩა.

კოლონიას თავისი უპირატესობები აქვს და ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა არც ამ კრიტერიუმებში ჯდება.

საქმე ისაა, რომ ჩვენ, სინამდვილეში, არავითარი კოლონია არ ვართ, ჩვენ გახლავართ ნამდვილად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ჯერ კიდევ იბრძვის დამოუკიდებლობისთვის, იმის მიუხედავად, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვქვია.

მაგრამ თუ დამოუკიდებლები ვართ, რატომღა ვიბრძვით დამოუკიდებლობისთვის?

დამოუკიდებლობა არ ნიშნავს იმას, რომ მას შემდეგ, რაც მოიპოვებ, იმ დღიდან დამოუკიდებელი ხარ, შეგიძლია მხარ-თეძოზე წამოკოტრიალდე და დამოუკიდებლობით დატკბე. ასე ეს არაა. დამოუკიდებლობა განუწყვეტელი პროცესია, ისეთი მდგომარეობაა, რომელიც არ წყდება და არ მთავრდება. დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ყოველდღე უნდა მოიპოვო და ყოველდღე უნდა იბრძოლო მისი შენარჩუნებისთვის და სიმტკიცისთვის.

გაგიკვირდებათ და, ბოლო 30 წლის განმავლობაში არასდროს არ ყოფილა საქართველო ისეთი დამოუკიდებელი, როგორიც არის დღეს და ეს არის ბიძინა ივანიშვილის, ირაკლი ღარიბაშვილის და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დამსახურება.

თავმოყვარე პოზიციამ, დამოუკიდებლობის შეუდრეკელმა დაცვამ, იმის განცხადებამ, რომ ვერავინ გვიკარნახებს მოქმედებების გეგმას და მოდი, სიმართლე ვთქვათ, დღევანდელი მთავრობის თავდადებამ და თავგანწირვამ, გადაარჩინა საქართველო იმ ძალიან დიდ უბედურებას, რომლისკენაც გვიბიძგებდნენ, დაგვიფარა სისხლისმღვრელი ომისგან, რომლისგანაც საქართველოში ქვა ქვაზე არ დარჩებოდა.

დიახ, ამ კრიტიკულ ვითარებაში კონკრეტული და ვაჟკაცური ნაბიჯები გადადგა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა. მასთან ერთად მისმა გუნდმა და ჩვენმა სახელმწიფომ მრავალი მხრიდან მომდინარე უდიდეს წნეხსა და ზეწოლას, განსაცდელსა და შემოტევას გაუძლო: ჩვენ გვიტევდა ევროპა, როგორც ირკვევა, სტრატეგიული პარტნიორი აშშ და გვაიძულებდნენ, რომ ჩავრთულიყავით რუსეთის წინააღმდეგ ომში.

ჯერჯერობით ჩვენ გადავრჩით და ქართველი ხალხი კარგად ხედავს ამას, იმის მიუხედავად, რომ ჩვენს დიდებულ ქართველ ხალხში ვიღაცა ვერ ხედავს ქართველ ხალხს, ვიღაც ვერ ამჩნევს, ვინც არის და რასაც წარმოადგენს იგი.

ორაზროვნად რომ არ გამომივიდეს, პირდაპირ ვიტყვი: მაგალითად, აშშ-ის ელჩი, ქალბატონი დეგნანი, ამ საბედისწერო პროცესებში, სამწუხაროდ, ვერ ამჩნევს ქართველ ხალხს. სამაგიეროდ, ის ხედავს ქართველი ხალხის მცირე ნაწილს, ანგაჟირებულ, მერკანტილური ინტერესებით შემოზღუდულ პოლიტიკურ ჯგუფებს და ამ ჯგუფებს ისე წარმოაჩენს, თითქოს ისინი იყვნენ სრულიად ქართველი ხალხი.

სინამდვილეში, ქართველი ხალხის უმრავლესობა სულ სხვა მისწრაფებებისაა და კატეგორიული წინააღმდეგია ომის და კონფრონტაციის, მას აქვს კარგი ისტორიული მეხსიერება, მწარე გამოცდილება და მშვენივრად იცის, რომ ყოველივე ეს კატასტროფით დამთავრდება.

დღევანდელი მთავრობა ქართველი ხალხის ნაწილია. მას ესმის ჩვენი ხმა. სწორედ ხალხის სურვილი გაითვალისწინა მთავრობამ და დიდი გმირობის, დიდი თავგანწირვის, პასუხისმგებლობისა და რისკის ფასად არ ჩართო ქვეყანა ომში...

დღეს 31 აგვისტოა. დგება 2022 წლის შემოდგომა და ჩვენს ე.წ. მეგობრებს, როგორც ჩანს, კვლავ არ გადაუფიქრებიათ, ჩაგვითრიონ რუსეთ-უკრაინის დაუსრულებელ კონფრონტაციაში, რომელმაც თვით უკრაინას დიდი უბედურება მოუტანა.

ამ ომში ჩართვის მცდელობის გაგრძელება იქნება შემოდგომაზე მოსალოდნელი პროცესები — გამოყრიან ქუჩებში ე.წ. სამოქალაქო აქტივისტებს, ადამიანთა ჯგუფებს, რომლებიც ილაპარაკებენ ქართველი ხალხის სახელით, რომ ქართველ ხალხს უნდა ევროპაში და საქართველოს ხელისუფლება აბრკოლებს მათ.

თავიდან ბოლომდე დემაგოგიაა ასეთი მსჯელობა და პროვოკაცია გახლავთ იმის მტკიცება, რომ დღევანდელი ხელისუფლება ევროინტეგრაციის წინააღმდეგია, თუმცა დაგვიდეს 12-პუნქტიანი ულტიმატუმი, — კორუმპირებული და ოლიგარქიულია თქვენი მმართველობაო, მაშინ, როცა, ყველასთვის ცნობილია, როგორი კორუმპირებულია უკრაინის ხელისუფლება, როგორ ყურყუმალაობს კორუფციის ჭაობში მოლდოვა. არც სხვაგანაა უკეთესი მდგომარეობა.

რა ვქნათ ჩვენ, როცა ე.წ. მეგობრობის მთელი ისტორია ამერიკასთან და დასავლეთთან მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებაზეა დამყარებული, როცა არასდროს ცდილობდნენ დაგვდგომოდნენ გვერდით ყველაზე კრიტიკულ ვითარებაშიც კი, არც რუსული აგრესიის დროს და არც მოსალოდნელი საომარი კონფლიქტებისას?

გასაგებია, რომ რუსეთი აგრესორია და ოკუპანტი, მაგრამ ამის აღიარებით საქართველომ რა მოიგო დაკარგული ტერიტორიების და დახოცილი თანამემამულეების გარდა?

ათეული წლებია ვითომდა ნა-

ტოში შევდივართ, მაგრამ არავინ შეგვაწია ერთი კეთილი სიტყვაც კი და ცინიზმის იქით დღემდე ვერ წავიდა საქმე.

მობრძანდით, ნატოს კარები ღიაა, ხვალ თუ არა, ზეგ მიგიღებთ, თქვენ დაგველოდეთო, ამ დაპირებებში დავკარგეთ ქვეყნის 20%, ამ დაპირებებში გადის წლები და საქართველო ისევ ობოლი ბავშვივით გზაჯვარედინზე დგას მოკავშირის მოლოდინში.

ამერიკა-ევროპამ ჩვენთან მიმართებაში აირჩია აშკარად არასწორი, არამეგობრული ურთიერთობების ფორმები და ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ ამ პატარა ქვეყნისგან „ვეშაპებს“ არაფერი აინტერესებთ, გარდა იმისა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ.

ამისთვის ვჭირდებოდით მაშინაც, როცა მეგობრობას გვეფიცებოდნენ, ამისთვის ვჭირდებოდით ევროინტეგრაციას რომ გვთავაზობდნენ, ამისთვის ვჭირდებოდით ნატოს კარი ღიააო, რომ გვაქეზებდნენ.

განა შეიძლება ქვეყნის მეგობარი იყო და ცდილობდე, „ნაცმოძრაობა“ დააბრუნო ხელისუფლებაში. „ნაცმოძრაობა“ — კრიმინალური, დამნაშავე ელემენტების ორგანიზაცია, რომელთაც უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი საქართველოში...

წარმოიდგინეთ, როგორ არ უნდა სცემდე პატივს შენს სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყანას, ამას რომ აძალებდე და ამ ძალდატანებას დემოკრატიის საფარველით ფუთავდე. როგორი ცინიზმით უნდა იყო განწყობილი „სტრატეგიული მეგობრისადმი“, რომ აძალებდე, ადგეს და წავიდეს არსებული ხელისუფლება და მოვიდეს ის ძალა, რომელიც საშინელი კოშმარივით ახსოვს ქართველ ხალხს და რომელიც 9 წელიწადი სისხლს სწოვდა, მორალურად და ფიზიკურად ანადგურებდა.

ამ უბედურებაგადატანილ ქვეყანას იმის მაგივრად, რომ დემოკრატი მეგობრების რეკომენდაცვიები მალამოსავით ეფინებოდეს, ჩვენი გა-

დაწყვეტილებებიდან რამე მათთვის ხელსაყრელი და სასარგებლო თუ არაა, იწყება გნიასი და ერთი ამბავი ამერიკის კონგრესსა თუ ევროპარლამენტში. წლების განმავლობაში იწერებოდა და იგზავნებოდა საქართველოს ხელისუფლებისადმი პეტიციები და საჩივრები — არადემოკრატულია „ქართული ოცნება“, პოლიტპატიმრები ჰყავსო. ბოლოს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ წაქეზებული და გათავხედებული ნიკა მელია პარლამენტში შეიჭრა და როცა კანონის დაცვით დაიჭირეს, ევროპარლამენტარებმა გირაოც გადაუხადეს.

ამ „ქვაბში“ ვიხარშებით, თორემ ცოტა შორიდან რომ შევხედოთ, შესაცოდ დღეშია საქართველო, რადგან მყარი მხარდაჭერა აქვთ ქვეყნის შიგნით მყოფ ჩვენს დაუძინებელ მტრებს...

მელიასა და მისნაირების მხარდაჭერასა და წაქეზებაში არაა არც ერთი მარცვალი, რითაც შეიძლება ევროპარლამენტარების მოქმედებები გაამართლო. ქვეყნის კანონმდებლობას რომ ასეთ რამეს უკეთებ, როგორ შეიძლება იმ ქვეყნის მიმართ მეგობრულად იყო განწყობილი.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ვცდილობთ შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა და თავისთავადობა, მაგრამ ევროპა-ამერიკა მეგობრები რომ გვეგონა, რომ გვეიმედებოდნენ დამოუკიდებობის გზაზე დაგვეხმარებიანო, პირიქით აღმოჩნდა: ძირს გვითხრიან და საჭიროების შემთხვევაში ვჭირდებით, როგორც ძალა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იქნება გამოყენებული.

და დადგა ეს დროც: ჩვენ რუსეთს უნდა შეგვწირონ მსხვერპლად.

მაგრამ რას გვარგებს ჩვენ ეს მსხვერპლშეწირვა და რას მოგვიტანს ის ნგრევისა და განადგურების გარდა? პასუხი ერთია — არაფერს. ჯობს, სამუდამოდ მოვიმდუროთ აშშ და ევროპა, ვიდრე ამაზე წავიდეთ, რადგან ეს სიკვდილია, დაღუპვაა და თავი რომ გადავირჩინოთ, ძალიან მყარად და მტკიცედ უნდა დავდგეთ დღევანდელი მთავრობის გვერდით. ჩვენ

ვწყვეტთ დღეს ჩვენს ბედს. სხვა, უფრო რეალური ძალა ჩვენს გადასარჩენად არ არსებობს. ახლა საჭიროა, ძლიერი წინააღმდეგობის ჯგუფი. ლაპარაკი არაა არჩევნებზე — ვინმე ან მოვიდეს ან წავიდეს, ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს დღეს ჰყავს მთავრობა, რომელიც ხალხის მხარეს, ეროვნული ინტერესების მხარეს დგას და რისკავს ყველაფერს, საკუთარ არსებობასაც კი.

დღევანდელი ხელისუფლება ისეთ ძალებთან არის დატაკებული, რომელთაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ თვალის დაუხამხამებლად გაანადგურონ მთელი ქვეყანა, გაანადგურონ არა მხოლოდ ხალხი, მოსახლეობა, არამედ მთავრობის წევრებიც თავიანთი სახლეულებით.

პრემიერ-მინისტრსაც ჰყავს ოჯახი და შვილები, მმართველი გუნდის წევრებსაც, მათაც უნდათ მშვიდი ცხოვრება, შეუძლიათ კიდევაც ასე იცხოვრონ და განსაცდელში თავი არ ჩაიგდონ, მაგრამ როგორც დავინახეთ, ამ მძიმე ვითარებაში ყველა დადგა ძალიან მტკიცედ — ირაკლი კობახიძე, შალვა პაპუაშვილი, კახა კალაძე, სხვები, ისე მოიქცნენ, რომ ბევრი ჩვენგანი მათგან ასეთ თავდადებას არც მოველოდით.

ამ რთულ ვითარებაში ყველაზე მყარად და მტკიცედ გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც, სიმართლე უნდა ითქვას, ყველაფერი გარისკა. მართლია, პოლიტიკაში არ ერევა, არც ახლა ჩარეულა, მაგრამ, როცა მიადგნენ ანგარიშის გასასწორებლად, უკან არ დაიხია და საბოლოოდ დაამარცხა საფინანსო კომპანია „კრედიტ სუისი“.

დიახ, ჩვენ გვინდა ევროკავშირში შესვლა, მაგრამ რას გვთავაზობენ ისინი? ლგბტ თეორიას? ამას გვთავაზობენ იდეოლოგიად. რაც არ არის ჩვენს მენატალიტეტში, ჩვენს სულში, იმას გვთავაზობენ — გეიპარადს და ლგბტ ფილოსოფიას.

ჩვენ სხვა ყაიდაზე მოწყობილი ერი ვართ და თუ მეგობრები არიან, პატივი უნდა სცენ ჩვენს რწმენას და ტრადიციებს.

რაც შეეხება რუსეთს, ის აგრესორია, მაგრამ მასაც აქვს თავისი წილი სიმართლე. თუ ვინმეს პუტინის პოლიტიკა ან თავად პუტინი არ მოსწონს, რას ერჩის რუს ხალხს. ეს ხომ წმინდა წყლის ფაშიზმია. გერმანია რომ ებრაელებს ხოცავდა, ის თუ იყო რასიზმი და ფაშიზმი, ახლა რა კამპანიაც მიმდინარეობს რუსეთის და რუსების წინააღმდეგ, ეს არ არის ფაშიზმი?

რუსი ტურისტები შემოდიანო, წუხან, მაგრამ იმაზე თანახმა არიან, დიდძალი ფული შემოვიდეს რუსეთიდან, არც იმაზე ლაპარაკობენ, ყველაზე მეტი ქართველი რომ ცხოვრობს რუსეთში.

რამდენიმე დღის წინ რუსეთიდან ტურისტები მეწვივნენ — ჩემი დის შვილიშვილები, არაჩვეულებრივი ქართველი ვაჟკაცები. კარგი იყო რუსეთში ცხოვრება, მაგრამ ახლა ძალიან გაჭირდა, არასტაბილური სიტუაციაა და საქართველოში გვინდა დაბრუნებაო, მითხრეს.

ჩემი დის შვილიშვილები დღეს საქართველოში არიან ტურისტები და ეს „ტურისტები“ თურმე საქართველოში არ უნდა შემოუშვა. სინამდვილეში, ეს ახალგაზრდები ტურისტები კი არა საქართველოს შვილები არიან, ქართველები და ქართველების შთამომავლები.

საუბარში აღმოჩნდა, რომ ჩემი დის შვილიშვილები საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლას აპირებენ — პატარა ბიზნესები გვაქვს, აქ გადმოვიტანთ და ოჯახით ჩვენს სამშობლოში გადმოვალთო. ბევრი ფიქრობს ჩვენნაირადო და არა მხოლოდ ქართველები, არამედ რუსებიცო, მათაც უნდათ წამოსვლა საქართველოში საცხოვრებლად და ბიზნესის საწარმოებლადო.

ამერიკა არის, ევროპა თუ ვინც უნდა იყოს, გასაგებია, რომ რუსეთის დასაუძლურებლად იბრძვის, და აი, შანსიც, გამოაცალონ მას საქმიანი, გონიერი ახალგაზრდობა.

ვინ ვინ და შესანიშნავად ხვდებოდა ამას „ნაცმოძრაობა“ და შამპანური ღვინოებით ხვდებოდა 2008 წლის ომის შემდეგ რუს ტურისტებს. სააკაშვილმა იცოდა, რომ ეს იქნებოდა საქართველოსთვის მომგებიანი და მაშინ თუ იყო კარგი, როგორ შეიძლება ახლა ცუდი იყოს. ვინც აქეთკენ უბიძგებს ქვეყანას, ის არის მავნებელი. ქართველია თუ არაქართველი, პოლიტიკოსია, თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ვინც ტურისტებს გზას უღობავს საქართველოსკენ, არის საქართველოს პირდაპირი მტერი.

ახლა ამ მტრებთან ბრძოლის გადამწყვეტი დღე დგება. ახლა ქართველი ხალხის და საზოგადოების გმირობის დროა, რადგან ერთობლივი, კონსოლიდირებული მოქმედებით ავიცილებთ თავიდან იმ ხიფათს, რომელსაც გვიმზადებენ ბოროტი ძალები.

ჩვენ უნდა შევძლოთ თვითმობილიზება. ვინ ვისი მომხრეა, რომელი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი ან მოყვარული, ამას არ აქვს მნიშვნელობა, ვინც საქართველოს მომხრეა, ქვეყნის უსაფრთხოების მომხრე და ქვეყნის გადარჩენის მომხრე, ერთად უნდა დავდგეთ და საქართველო კიდევ ერთხელ გადავარჩინოთ.

არაერთხელ მითქვამს, და კიდევ ვიტყვი: დროა, საქართველო გამოცხადდეს მშვიდობის სახლად. ჩვენი იდეოლოგიური კონცეფცია არის მშვიდობა და ვინც საქართველოში მშვიდობას ემუქრება, ის საქართველოს ემუქრება განადგურებით. ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას ქვეყანაში და ჩვენ უნდა გადავრჩეთ, ეს ჩვენი ვალია და ეს ვალი თანამედროვე ქართულმა საზოგადოებამ აუცილებლად უნდა მოიხადოს.

„ხალხის ძალა“ - მიმართვა საზოგადოებას

საზოგადოებისადმი ჩვენი მორიგი მიმართვა გვინდა დავიწყოთ მადლობით ამერიკის ელჩის, ქალბატონი კელი დეგნანის მიმართ. გვერწმუნეთ, ამ მადლობაში მცირეოდენი ირონიაც კი არ არის. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი მიზანი საზოგადოებამდე იმ სიმართლის მიტანაა, რომელიც ქართული პოლიტიკის კულისებს მიღმა იმალება. სწორედ ხალხამდე ამ სიმართლის მიტანაში ყველაზე მეტად გვეხმარება ქალბატონი დეგნანი, რომლის ყოველი ახალი განცხადება მორიგი აღიარებითი ჩვენებაა.

ქალბატონი ელჩის ბოლო ორი კომენტარით კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, სინამდვილეში ვინ დგას რადიკალური ოპოზიციის ასევე რადიკალური დღის წესრიგის უკან. როგორც ცნობილია, რადიკალური ოპოზიციის მეშვეობით თავს მოხვეული პოლარიზაცია ორ ძირითად ხელოვნურ საყრდენზე დგას: ესაა საქართველოს მოქმედი ხელისუფლების საშინაო და საგარეო ლეგიტიმაციის არაღიარება. ამ საყრდენების გასამაგრებლად, „ნაციონალური მოძრაობა“, საბჭოური პროპაგანდის „საუკეთესო“ ტრადიციების მიხედვით, კონკრეტულ კლიშეებს იყენებს. ამ კლიშეებს შორის განსაკუთრებული ადგილი „გავრილოვის ღამეს“ და „არასამართლიან არჩევნებს“ უკავია. ბოლო რამდენიმე დღეა, ქალბატონი დეგნანი სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ მეშვეობით შემოგდებული ამ მესიჯებით გველაპარაკება, რაც იმის მკაფიო დასტურია, რომ ეს მესიჯები, ისევე, როგორც პოლარიზაციის პრობლემა სწორედ საელჩოს მიერ არის მოფიქრებული.

ე.წ. „გავრილოვის ღამეზე“ ბევრს არ ვიტყვით, მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ იმ ღამით ერთი მხრიდან პარლამენტში საელჩოს ერთი ფავორიტი, ნიკანორ მელია იჭრებოდა, ხოლო მეორე მხრიდან ადამიანებს დამიზნებით საელჩოს კიდევ ერთი ფავორიტი, გიორგი გახარია ესროდა. შესაბამისად, ელჩის ადგილზე, ე.წ. „გავრილოვის ღამეზე“ ძალიან ცოტას ვილაპარაკებდით. როგორც ცნობილია, სიბრძნის ლაპარაკი ვერცხლია, დუმილი კი - ოქრო. როდესაც ვერცხლი შენგან ასე შორსაა, ხოლო ოქრო წინ გიდევს და არაფერში იყენებ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, დანაშაულია იმ სახელმწიფოს წინაშე, რომელსაც პარტნიორ ქვეყანაში ღირსეულად უნდა წარმოადგენდე.

რაც შეეხება არასამართლიან არჩევნებს: ქალბატონმა დეგნანმა თქვა, არჩევნები სამართლიანად არავის შეუფასებია და ხალხში არჩევნების შედეგებისადმი ნდობა არ არსებობსო. სწორედ აქ წამოცდა ქალბატონ ელჩს, რომ წარუმატებელი რევოლუციური სცენარი და რადიკალური ოპოზიციის ყალბი მესიჯი არასამართლიანი და გაყალბებული არჩევნების შესახებ საელჩოშია დაწერილი...

ქალბატონმა ელჩმა აღნიშნა, ყველა სადამკვირვებლო ორგანიზაცია ამომრჩეველთა დაშინებაზე, ხმების ყიდვაზე, ძალადობრივ ადმინისტრაციულ რესურსებზე და ე.წ. კარუსელზე მიუთითებდაო. ქალბატონ დეგნანს გვინდა შევახსენოთ, რომ ყველა ეს თემა საფუძვლიანად იქნა შესწავლილი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის მიერ, მათ შორის დეტალურად გამოიკითხნენ დამკვირვებელი ენჯეოების ხელმძღვანელები. საბოლოოდ, დადგინდა, რომ არც ერთ სადამკვირვებლო ორგანიზაციას რაიმე მყარი ფაქტები ამომრჩეველთა დაშინების, ხმების ყიდვის თუ ადმინისტრაციული რესურსის სისტემური გამოყენების შესახებ არ ჰქონდა. სრულიად სამართლიანად, საქილიკო თემადაც კი იქცა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები დარღვევებზე საუბრისას ყოველ ჯერზე სიტყვა „სავარაუდოს“ იყენებდნენ, რითაც მტკიცების ტვირთს სრულად იხსნიდნენ. ეუთო/ოდირი და სხვა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები საელჩოდან მართული ენჯეოების მიერ ჩამოთვლილ „სავარაუდო დარღვევებზე“ რომ მიუთითებდნენ, ეს ელჩისთვის დიდი ვერაფერი შეღავათია. რაც შეეხება ე.წ. კარუსელს, ეს ტერმინი ეუთო/ოდირის ანგარიშში საერთოდ არ მოხვდა და ელჩი რომ რადიკალური ოპოზიციის მიერ მოგონილ ამ ფეიკს იმეორებს, ჩვენთვის გასაკვირი აღარ არის.

სრულიად გამაოგნებელი იყო ელჩის მორიგი გზავნილი „ისფედის“ მიერ ხმების პარალელური დათვლის შედეგების გაყალბების შესახებ. ქალბატონმა დეგნანმა ხმების პარალელური დათვლის გაყალბებას „უმნიშვნელო სტატისტიკური ცდომილება“ უწოდა და თქვა, „ისფედის“ მიერ შეცდომის იდენტიფიცირება მალევე მოხდაო. საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ ერთიც და მეორეც უმძიმესი ტყუილია. ამასთან, შეუძლებელია, ამის თაობაზე ინფორმაცია ელჩს არ ჰქონდეს და მხოლოდ უნებლიეთ ცრუობდეს.

რაც შეეხება „უმნიშვნელო სტატისტიკურ ცდომილებას“. ხმების პარალელურ დათვლას, იგივე „პივიტის“, აქვს ცდომილების დასაშვები ფარგლები, რაც „ისფედის“ მეთოდოლოგიის მიხედვით, 0,7 პროცენტს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ არჩევნების ოფიციალურ შედეგებსა და „პივიტის“ შედეგებს შორის სხვაობა 0,7 პროცენტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. „ქართული ოცნების“ შემთხვევაში, ცესკოს და „პივიტის“ მონაცემებს შორის დაფიქსირდა 2,4-პროცენტიანი სხვაობა, რაც ნიშნავდა, რომ ან არჩევნები იყო გაყალბებული ან „პივიტი“. აქვე შეგახსენებთ, რომ 2,4 პროცენტი დაახლოებით 50 ათასი ხმაა და „პივიტის“ ამდენი ხმით გაყალბება უმნიშვნელო სტატისტიკურ ცდომილებად ვერანაირი მათემატიკით ვერ ჩაითვლება. ბუნებრივია, 2,4-პროცენტიან ცდომილებაზე დაყრდნობით, რადიკალური ოპოზიცია და ენჯეოები არჩევნების გაყალბებაზე საუბრობდნენ, თუმცა, საბოლოოდ გაირკვა, რომ არჩევნების ნაცვლად, „პივიტი“ იყო გაყალბებული.

რაც შეეხება იმას, რომ, თითქოს, „ისფედის“ მიერ ცდომილების იდენტიფიცირება მალევე მოხდა. „ქართული ოცნების“ ლიდერებმა „პივიტის“ ცდომილებაზე პირველად ჯერ კიდევ 3 ნოემბრის ბრიფინგზე ისაუბრეს. ამის შემდეგ, „პივიტის“ თემაზე შედგა არაერთი შეხვედრა როგორც „ისფედის“ ხელმძღვანელობასთან, ისე ამერიკულ მხარესთან. „ისფედის“ მაშინდელმა აღმასრულებელმა დირექტორმა ტელევიზიით ისიც აღიარა, რომ საელჩოს „პივიტის“ ცდომილების შესახებ ინფორმაცია სულ მცირე ნოემბრის ბოლოს ქონდა. ასეთ პირობებში, სრულიად გამაოგნებელია, რატომ არ მოხდა „პივიტის“ სიყალბის აღიარება 11 დეკემბრამდე და რატომ აგრძელებდა საელჩო პარტიებს შორის მოლაპარაკებების მოდერაციას იმ დროს, როდესაც ის სიყალბეზე უკვე სრულად იყო ინფორმირებული. ჩვენთვის ამ ყველაფრის მიზეზი ნათელია - ხელოვნური პოლიტიკური კრიზისი და პოლიტიკური მოლაპარაკებები, რომლებიც „პივიტის“ გაყალბების პირმშო იყო, სწორედ საელჩოს მიერ იყო ჩაფიქრებული და ხელოვნურად თავსმოხვეული...

ასევე, სრულიად გამაოგნებელი იყო ელჩის განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული ორგანიზაცია „სირცხვილიას“ მიერ გავრცელებული პოლიტიკური შინაარსის კლიპის შესახებ, რომლის გამოც „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილი ტელევიზიები დაჯარიმდნენ. როგორც ცნობილია, არასაარჩევნო პერიოდში ტელევიზიებში პოლიტიკური რეკლამის განთავსება აკრძალულია. „სირცხვილიას“ კლიპი კი, თავისი შინაარსით, პოლიტიკურიც იყო და რევოლუციურიც. როდესაც ასეთი კლიპის გამო ტელევიზიების ლეგიტიმურად დაჯარიმებას აპროტესტებ, ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რევოლუციური სცენარი სწორედ საელჩოს მიერ არის მოფიქრებული და დაორგანიზებული. კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა ქალბატონ დეგნანს აღიარებითი ჩვენებისთვის.

როდესაც ელჩი „სირცხვილიას“ უკანონო პოლიტიკურ-რევოლუციური კლიპის გამო ტელევიზიების ლეგიტიმურ დაჯარიმებას აპროტესტებს, „პივიტის“ გამყალბებელ ენჯეოს ხელს აფარებს, საქართველოს ხელისუფლების საშინაო და საგარეო ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ აყენებს და ამ ეჭვის გასამყარებლად, არაერთგზის უხეშად ტყუის, სრულიად ცხადია, რასთანაც გვაქვს საქმე. საელჩო ვერ ეგუება საქართველოს სუვერენულ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყანას ომისკენ არ ეაჩება. ეჭვი არ გვეპარება, რომ ასეთი ხელისუფლების გადასატრიალებლად საელჩო ყველაფერს იკადრებს და ბევრად უფრო მძიმე ნაბიჯებზეც კი წავა, ვიდრე ეს „პივიტის“ გაყალბება იყო.

თუმცა, დარწმუნებული ვართ, სიმართლით აღჭურვილი ხალხის ძალა ქვეყნის სუვერენიტეტს მყარად დაიცავს და ქვეყანაში არეულობის შემოტანისა და მისი ომში ჩათრევის შესაძლებლობას არავის მისცემს.

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით)

ამ მოღალატე ოპოზიციამ, შეიძლება, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებამდე მიგვიყვანოს!

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმიტრი, იკვეთება ტენდენცია, რომ აშშ-ს ელჩი კელი დეგნანი ჩვენს ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობს. მისი განცხადება, არჩევნების გაყალბების თაობაზე სწორედ ამაზე მეტყველებს. როგორი პოლიტიკური შემოდგომა ელოდება საქართველოს?

— 2022 წლის შემოდგომა აქამდე არსებულთა შორის ყველაზე ცხელი იქნება. ასე რომ, მწველი პოლიტიკური სეზონი გველოდება. შეგახსენებთ: ჯერ კიდევ 2019 წლის 20 ივნისს „გავრილოვის ღამედ“ შერაცხული სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობის შემდგომ მავანთ დასახეს მთელი რიგი ამოცანები, რათა საქართველოში ხელისუფლება ძალადობრივი გზით შეეცვალათ და ფაქტობრივად, მომხდარიყო დეპოლარიზაცია ხელისუფლების ნებაყოფლობითი გადაბარების პოლიტიკური აქტის განხორციელების გზით. ეს მოხდა შარლ მიშელის დოკუმენტის მიღების პროცესში და შემდგომ განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ყოველივე აშშ-ს ელჩის რიტორიკის ცვლილების ფონზეც განხორციელდა. დღესაც იგივე ხდება — დიახ, კელი დეგნანმა „ქართული ოცნება“ 2020 წლის არჩევნების გაყალბებაში ღიად დაადანაშაულა და ეს, როგორც შემდგარი ფაქტი, ისე მოიხსენია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წლის შემოდგომის ცხელი პოლიტიკური სეზონი გარდაუვალია იმ ფონზეც, რაც უკრაინის კრიზისთან მიმართებით ხდება. იმიტომ, რომ კონფლიქტის დაწყების დღიდან, რა დროსაც გლობალური დასავლეთი ევრაზიულ სივრცეს უკანასკნელ უკრაინელამდე დაუპირისპირდა, სცენარით, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ჩართვაც იყო გათვალისწინებული. აქ, იგულისხმება არეულობა ბელორუსში, ყაზახეთში, დესტაბილიზაციის პირდაპირი ინსპირაცია ტაჯიკეთსა და უზბეკეთში, ასევე, რუსეთ-უკრაინის ომამდე დაწყებული პროცესები ავღანეთში და იქედან, ამერიკელების სამარცხვინო გაქცევა, მეორე მხრივ, 80 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო ინფრასტრუქტურის დატოვება პირსისხლიანი თალიბანისთვის, რომელიც ნებისმიერ დროს მზად იქნება, შესაბამისი ინსპირაციის პირობებში, პოსტსაბჭოური სივრცის აზიურ ნაწილს შეუტიოს და ამით რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან დესტაბილიზაცია მოახდინოს. ეს გახლავთ შენელებული მოქმედების ის ნაღმი, რაზეც სრულ კარტ-ბლანშს ფლობს აშშ და გლობალური დასავლეთი. ამ რკალს ბოლოს დაემატა ფინეთი და შვედეთი, რომლებიც აქამდე, უბლოკო სტატუსს ინარჩუნებდნენ, დღეს კი ღიად აცხადებენ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილს. რჩება პატარა საქართველო, რომელიც 840 კილომეტრ მანძილზე საერთო საზღვარს ფლობს რუსეთის ფედერაციასთან და რომელიც გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, მავანისთვის მთელ რიგ განვითარებულ ბატალიებში რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ცეცხლის გაჩაღების ყველაზე უფრო სასურველი მონაკვეთი იქნებოდა. აღნიშნული გეო-სტრატეგია იმდენად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საომარ ვითარებაში ჩაბმის ღია მოწოდებებს არ გაურბიან უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების პირველი პირები: ზელენსკი, არესტოვიჩი, პოდოლიაკი, გონჩარენკო და სხვები.

ქართული პოლიტიკური სპექტრი, ე.წ. ოპოზიციის ლიდერები ღიად აცხადებენ: საქართველო მოწინავე რიგებში, უკრაინის გვერდით უნდა იდგესო. აღარაფერს ვამბობ რამდენიმე თვის წინ ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების მინისტრის ვიზიტთან დაკავშირებით, რა დროსაც მინისტრმა ღარიბაშვილს პირდაპირ განუცხადა: არ გეგონოთ, რომ ჩრდილში ყოფნას შეძლებთ მაშინ, როცა პროგრესული კაცობრიობა რუსეთის ფედერაციას უპირისპირდებაო.

ეს გახლდათ ღია გაფრთხილება. ამ ყველაფრის მიუხედავად, საბედნიეროდ, საქართველო, რუსეთთან მიმართებით, ორმხრივ სანქციებს არ შეუერთდა. ასევე, ჩვენმა ხელისუფლებამ დიდი გონიერება გამოიჩინა და უარი განაცხადა უკრაინაში წასვლისთვის მოხალისეების რეკრუტირება მოეხდინა. რა თქმა უნდა, ეს რუსეთში შეუმჩნეველი არ დარჩენილა და აღნიშნეს კიდეც: ეს ქართული ხელისუფლების მხრიდან გონივრული საქციელია და პრემიერ ღარიბაშვილის აღნიშნული ქმედება შეუფასებელი არ დარჩებაო. და მართლაც, როცა რუსეთმა მის მიმართ არამეგობრულად განწყობილი 55 სახელმწიფოს სია გამოაქვეყნა, ამ ჩამონათვალში საქართველო არ აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობები ჩვენს შორის, 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ, გაწყვეტილია. მეტიც, რუსეთმა ჩააგდო ე.წ. სამხრეთ-ოსეთის პრეზიდენტის ბიბილოვის მიერ დანიშნული რეფერენდუმი ოსეთის ფედერაციასთან შეერთების შესახებ და ამას არაგონივრული უწოდა. რა თქმა უნდა, მთავარი საკითხი რაც 20-30 სექტემბერს გამართულ კონფერენციაზე გადაწყდება, გახლავთ საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის უპირობო აღდგენა. ეს იქნება ისტორიული გადაწყვეტილება, რაც იმ ურთიერთობებს, რაც დღეს გაყინულია, დიამეტრალურად გადატვირთავს. ორ ქვეყანას შორის დიპლომატიის აღდგენის კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანია სავაჭრო წარმომადგენლობითი ურთიერთობების მიმართ მზაობა. ამ ყველაფერში ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი არის ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკური ფასის განსაზღვრა, რაც შეუძლებელია იქნება თუ დიპლომატიური მანქანა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში არ მოვა. ამიტომ, საქართველოს, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წინ სერიოზული პერსპექტივები აქვს. ბუნებრივია, ყოველივე გლობალური დასავლეთისთვის შეუმჩნეველი არ რჩება და იგი საცეცებს კელი დეგნანის დახმარებით უშვებს,. უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის ელჩი, ბოლო დროს, ძალიან გათავხედდა და ღიად ცდილობს საზოგადოების თვალში პოლიტიკური დიასახლისის როლი ითამაშოს. იგი აღარაფერს ერიდება. კერძოდ, ბოდბეს მონასტერში მეუფე იაკობთან შეხვედრისას მან სამახსოვრო ფოტო ამერიკული დროშის ფონზე გადაიღო. რა შუაშია ქართულ, მართლმადიდებლურ მონასტერში ამერიკის დროშა?! რომელ ეტიკეტში წერია და რა დატვირთვა აქვს, გარდა ერთისა: ამით ხაზგასმულია ფაქტი, რომ სა-

ქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების შემდგომ ბედზე ერთადერთი პასუხისმგებელი დასავლური კონგლომერატია — ანგლო-საქსური გეო-პოლიტიკის გამტარებელი ბრიტანეთი და აშშ. დიახ, აი, ამის ხაზგასმა ხდება ამ ცინიკური ფორმების გამოყენება. დეგნანმა ზუსტად იგივე გააკეთა, როცა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში აბრძანდა. მან, ამჯერად, ერთდროულად, ორი ამერიკული დროშის ფონზე გადაიღო სამახსოვრო ფოტო. ეს, შემთხვევითი არ გახლავთ: ამერიკის დროშით ჯერ საეკლესიო წიაღში გადაიღო ფოტო, ხოლო შემდგომ ქართული მონარქიის მემკვიდრესთან ერთად. ამით ხაზგასმა კეთდება გარდაუვალ მეპატრონეობაზე, რითაც აშშ ცდილობს, საქართველოსთან მიმართებით, მართვის სადავეები ხელიდან არ გაუშვას. საქართველო კი ყველა ღონეს ხმარობს, რათა საკუთარი მოქნილი პოლიტიკა გაატაროს და საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს, რაც აშშ-ს ძალიან აღიზიანებს. ამერიკა ნათლად ხედავს: თუკი საქართველო საყოველთაო ეროვნული ძალისხმევით რუსეთთან უვიზო მიმოსვლას აღადგენს, ეს იმ ერთი მილიონი ქართველის გარდაუვალ ინტეგრაციას მოახდენს, რომელიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს. დიახ, ეს პროცესი ხელს შეუწყობს სერიოზულ პოლიტიკურ გადატვირთვას რა დროსაც შესაძლოა რუსეთსა და ჩვენ შორის ურთიერთობები მტრობიდან სტრატეგიულ პარტნიორობამდეც კი განვითარდეს.

— როგორ ფიქრობთ, ამ ფონზე რა უარყოფითი შედეგი მოიტანა უკრაინის კრიზისმა რუსეთისთვის და გლობალური დასავლეთისთვის, რომლის ეკონომიკას გამოუსწორებელი ზიანი მიადგა?

— ბლუმბერგის მონიტორზე ყველაფერი შესანიშნავად ჩანს. რა თქმა უნდა, განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, კომფორტულ ცხოვრებას მიჩვეული დასავლელი მოქალაქეებისთვის ამ კოშმარში აღმოჩენა, რაც შემოდგომასა და ზამთარში უარეს ფორმებს მიიღებს, გადაულახავი წინააღმდეგობაა. ხოლო რუსეთის მოქალაქეებისთვის, რომლებიც გაჭირვებას ისედაც მიჩვეულნი იყვნენ, ეკონომიკური სანქციების დაწესება იმაზე უფრო მეტად მტკივნეული არ აღმოჩნდა, ვიდრე ამის მოთმენა და გადატანა. თუ გავითვალისწინებთ, გრძელვადიან პერსპექტივაში იმ სტრატეგიას, რასაც დღეს რუსეთი ირჩევს, ვგულისხმობ, მის კოოპერატიულ ინტერესებს ინდოეთთან და ჩინეთთან, რაც პრიმაკოვის წინასწარმეტყველების ახდენას ნიშნავს, ყველასთვის გასაგები გახდება თუ რასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, პრიმაკოვის დოქტრინა უკავშირდება სწორედ რუსეთის მომავალ გაძლიერებას ინდოეთთან და ჩინეთთან მჭიდრო ურთიერთობის გზით. ეს აჩენს პერსპექტივას, რომ რუსეთი, როგორც მომავალი ტექნოლოგიების ქვეყანა, ინდოეთთან, ჩინეთთან და ბრიქსის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობით, აუცილებლად განვითარდება.

როგორც რუსეთის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საბჭოს პრეზიდენტმა განაცხადა: რუსეთისთვის ახლა პრიორიტეტული სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულება ხდება. სამხრეთით მიმართულების პრიორიტეტში საქართველო, პირდაპირ, მოვლენების განვითარების

ერთ-ერთ მთავარ ეპიცენტრში ექცევა. თუკი რვავე დერეფანი აღდგება; ასევე, იმ შემთხვევაში თუ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით ახალი ინვესტიციები მოიძებნება; თუკი ჩვენ მოვილაპარაკებთ, რომ დევნილების უკან დაბრუნების და მათთვის შესაბამისი სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხი გახდეს ერთგვარი გეგმა საქართველოში პოსტ-ოკუპაციური პერიოდის შემდგომი აღმშენებლობითი პროცესის, წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდება დასავლეთი, რომელმაც 30 წელი მოჯადოებულ წრეზე გვატარა. მან, ჩვენი სანუკვარი ოცნება — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებს საკითხი, უბრალოდ, მითად დატოვა, არავითარი რეალობა. კი, ბატონო, აშშ 2008 წლიდან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია, მაგრამ ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ინვესტიციას, რომელიც მან

1994 წლის შემდგომ, პირდაპირი ინვესტირების სახით, ჩვენი ქვეყნის საწარმოო განვითარების კუთხით განახორციელა. ეს გახლდათ 1994 წელს „თელასი“ და ისიც რუსულმა კომპანიამ იყიდა. ფაქტია, აშშ იმით კი არ იყო დაინტერესებული, რომ ქართული საზოგადოება ფეხზე დამდგარიყო, ეროვნული სახელმწიფოს იდეა განვითარებულიყო, არამედ იმით, რომ ბარამიძეების, გოგორიშვილების, უგულავების, მერაბიშვილების, სააკაშვილების, ადეიშვილების სახით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, საკუთარი ელიტები შეექმნა, რათა ამ „ელიტებს“ ჩამოჰკიდებოდა ქვეყანაში გავლენები და ძალაუფლება.

კელი დეგნანმა დაგვამადლა: 30 წლის მანძილზე საქართველოს 6 მილიარდი დავახარჯეთო. რას მოხმარდა ეს თანხა?! ეს არ იყო ინვესტიცია, რომელიც ქვეყნის საწარმოო განვითარებისთვის გაკეთდა. აღნიშნული თანხები პოლიტიკური ელიტებისა და ფსევდო-საზოგადოებრივი ელიტების შესაქმნელად დაიხარჯა. ერთი მხრივ, პოლიტელიტების ლიდერები, რომლებიც მიბმულნი იყვნენ „სოროსისა“ და სხვა ფონდების საკვებ არხებზე და მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი 3 ათასზე მეტი იყო, ჯამში, რამდენიმე ას მილიონ დოლარს ღებულობდნენ, რათა საშუალო კლასის ნიშა დაეჭირათ და ილუზია შეექმნათ, თითქოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება, აშშ-ს წყალობით, შეუქცევადი პროცესია. სინამდვილეში, პოლიტ.ელიტებიც და არასამთავრობებიც ამერიკელების მარიონეტები იყვნენ. ახლა, ამ ილუზიიდან რეალურ პოლიტიკაში ვინაცვლებთ, რა დროსაც შევძლებთ საწარმოო სიმძლავრეების განვითარებას, ასევე, გაზსადენების, ნავთობსადენების ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გატარებით რეალური პერსპექტივებისა და პროექტების განხორციელებას. უკრაინის კრიზისის მერე სატრანსპორტო მარშუტები მნიშვნელოვნად შეიცვალა.

აღსანიშნავია, რომ დღეს ქართველები მშვიდობას ვინარჩუნებთ, რისი ხელიდან გაშვებაც დიდი შეცდომა იქნებოდა. თქვენს კითხვას დავუბრუნდები და გეტყვით: იმედია, ცხელ პოლიტიკურ შემოდგომას მშვიდობით, სტაბილურობის განცდით, კონსოლიდირებული საზოგადოებით შევხვდებით. სტაბილურობის არევის მცდელობის ნებისმიერი ფრაგმენტაცია უნდა ამოიძირკვოს. ამისთვის საჭიროა კანონმდებლობა გამკაცრდეს და შეურიგებელ, დაუნდობელ ბრძოლაზე გადავიდეთ იმ ე.წ. ოპოზიციის წინააღმდეგ, რომლის მიზანია დესტაბილიზაცია, არეულობა და უკრაინის კრიზისთან ერთად, ქვეყნის მეორე ფრონტად გადაქცევა.

— დეგნანის განცხადება, პირდაპირი მხარდაჭერაა ნაცების მიმართ და მოწოდება რევოლუციისკენ. რას გამოიწვევს რევოლუცია კავკასიაში?

— საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების ძლიერი მცდელობა, აშშ-ში ძალიან მტკივნეულად აღიქმება. ვაშინგტონს ამ 30 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ჩადებული აქვს პოლიტიკური ინვესტიცია იმისთვის, რომ საქართველო ეროვნული სახელმწიფოდან თავის პოლიგონად და პლაცდარმად გადააქციოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში. ყველა კარგად ვხედავთ და ვთანხმდებით, რომ საქართველო ამერიკისთვის არის პოლიციის სადგური და არა სტრატეგიული პარტნიორი. არანაირი სტრატეგიული პარტნიორისთვის განკუთვნილი პრიორიტეტი და პრივილეგია საქართველოს აშშ-დან არ მიუღია. ასე, რომ ყოფილიყო, მაშინ მეცნიერებს, ხელოვანებს, სპორტსმენებს ამერიკაში გამარტივებული სავიზო რეჟიმი ექნებოდათ. ეს არ იყო აშშ-ს სურვილი, არამედ მიზანი სხვა რამ გახლდათ: ქვეყნის მართვის სადავეები, მუდმივად, უსამშობლო პოლიტიკოსებისთვის ჩაეგდოთ. ასეა მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხეს და პარტიული სისტემური მმართველობის ისეთ ფორმაზე გადავედით, სადაც პოლიტიკური კონტროლის ფუნქცია ვაშინგტონს ეკავა. ნელ-ნელა ისეთ სისტემას აყალიბებდნენ, სადაც მხოლოდ ორი პარტია უნდა ყოფილიყო, რომელიც ორ-ორი, სამ-სამი წლის ინტერვალით ერთმანეთს მართვის სადავეებს გადაულოცავდა. ასე უნდა მომხდარიყო 2021 წელსაც, რაც არ გამოუვიდათ და შედეგად, აშშ-მ და გლობალურმა დასავლეთმა იეჭვეს, რომ საქართველო კონტროლის ზონიდან გადიოდა, ამიტომ, ხისტი მოქმედებები დაიწყეს. ულტიმატუმმაც არ დააყოვნა: თუ საქართველო მზად არის დაგვარწმუნოს, რომ დასავლურ კურსს არ გადაუხვევს, ამისთვის მან დასავლეთს მძევლად სასამართლო ხელისუფლება უნდა გადასცესო. ფაქტობრივად, ეს იქნებოდა სუვერენიტეტის ნებაყოფლობით ჩაბარების პოლიტიკური აქტი, რაც „ქართულ ოცნებას“, საბოლოოდ, დაასამარებდა. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებამ, ჩემი აზრით, უპრეცედენტოდ გაბედული გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოში დასავლურ ექსპანსიას წინ აღუდგა. დიახ, ახლა, ამ პროცესში ვიმყოფებით, მაგრამ საქართველო ასე დასავლურ წინააღმდეგობას დიდხანს ვერ გაუძლებს, თუ რა თქმა უნდა, მეორე ვექტორზე მისთვის ძალიან სწორ, მომგებიან ნაბიჯებს არ გადადგამს. ეს არის ქართულ-რუსული ურთიერთობების გადატვირთვის პოლიტიკური აქტი, რაც დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გზით უნდა დაიწყოს. ყოველივეს წინ უნდა უძღოდეს ეროვნული პოლიტიკის ძირითადი თეზისები, რაც ეროვნული თანხმობის პრეცედენტს შექმნის. ხომ გვინდა, რეალური დეპოლარიზაცია მოხდეს? ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ მამათმავალ ბოკერიებს და სააკაშვილებს უნდა შევურიგდეთ. ეს არ მოხდება იმიტომ, რომ პარტიები რომლებიც ლგბტ პროპაგანდის საკანონმდებლო დონეზე დაკანონებას უჭერენ მხარს და ამ გზით ხელისუფებაში მოსვლის შანსი უჩდებათ, შერიგების სუბიექტები ვერ იქნებიან. ისინი ქართული პოლიტიკური ველიდან საერთოდ უნდა განიდევნონ და დარჩნენ მხოლოდ ისინი, რომლებიც ეროვნული თანხმობის იდეას მხარს დაუჭერენ. ეს არ აწყობს დასავლეთს. მას საქართველოში თავისი გეგმა აქვს და ყველა ღონეს იხმარს, რომ შემოდგომაზე კომპრომატების ომი გააჩაღოს, პროვოკაციები მოაწყოს. პირდაპირ ვამბობ: არ გამოვრიცხავ, ძალიან მძიმე პროვოკაციებს, რამაც 2019 წლის 20 ივნისის მსგავსად, შესაძლოა სისხლისღვრაც გამოიწვიოს. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, საქართველოში თამასა უფრო მაღლაა აწეული, ვიდრე ოდესმე ყოფილა. დასავლეთი ყველაფერზე წავა იმისთვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია შექმნას და სტაბილური გარემო რომელშიც ვცხოვრობთ, ააფეთქოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რატომ შეჯდა ელჩი დეგნანი „ნაციონალების“ ჯაგლაგ სახედარზე?

გელა ზედელაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა კიდევ ერთხელ ჰყარა ქოშები უკუღმა. იგი კერკეტი კაკალი აღმოჩნდა... უფრო სწორად, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“-ის პრინციპს არ ეშვება, შეჯდა „ნაციონალური მოძრაობის“ ჯაგლაგ სახედარზე და აღარ ჩამოდის.

არადა, სანამ კიდევ ერთ უცნაურ განცხადებას გააკეთებდა, „ქართული ოცნებიდან“ გასულმა ოთხეულმა - სოზარ სუბარმა, მიხეილ ყაველაშვილმა, დიმიტრი ხუნდაძემ და გურამ მაჭარაშვილმა ის „მორიგჯერ“ ამზილეს არადიპლომატიურ საქციელში. მეტიც, თუ საკითხის არსს იურიდიული თვალსაზრისით ჩავუფიქრდებით, ეს მხოლოდ არადიპლომატიური საქციელი კი არა, სერიოზული დანაშაული და სკანდალია. ამჯერად საქმე ეხება აშშ-ის საელჩოს მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ ე.წ. დოკუმენტს, რომელიც სასამართლო რეფორმას ითვალისწინებს. თურმე, ამ ე.წ. დოკუმენტში სიტყვა „უნდა“ 60-ჯერ არის გამოყენებული, ხოლო საელჩო პარლამენტს „რეკომენდაციას“ კონკრეტულ საკითხებზე მხოლოდ 9-ჯერ უწევს. „ქართული ოცნებიდან“ გასულთა თქმით, ეს ფაქტიც აჩვენებს სრულიად უპატივცემულო და უხეშ დამოკიდებულებას საქართველოს სუვერენიტეტისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. ასეთ დოკუმენტს არა „რეკომენდაციები“, არამედ მხოლოდ „ინსტრუქცია“ შეიძლება ეწოდოს, რაც, სამწუხაროდ, საბჭოთა წარსულს გვახსენებს და შესაბამის მძიმე ასოციაციებს აღძრავს.

გასულები ამბობენ და ჩვენც ვეთანხმებით, არც ერთი ქვეყნის საელჩოს, თუნდაც უდიდესი პარტნიორისას, არ აქვს უფლება, ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში. კი, ბატონო, ნებისმიერი ქვეყნის საელჩოს შეუძლია, გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ თემაზე, მაგრამ ეს უნდა იყოს მხოლოდ აზრი, და არა „დირექტივა“, „ბრძანებულება“, ან „განკარგულება“.

მცირე ამონარიდი გასულთა წერილიდან: „სამწუხაროდ, გასული წლების განმავლობაში დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, როდესაც საელჩოს წარმომადგენლები სამუშაო ჯგუფებში უშუალოდ ისხდნენ და კანონშემოქმედებით პროცესში იღებდნენ მონაწილეობას. სუვერენულ სახელმწიფოში ასეთი პრაქტიკა სრულიად მიუღებელია, როგორი სტრატეგიულიც არ უნდა იყოს პარტნიორობა ორ სახელმწიფოს შორის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამგვარი პრაქტიკა სამომავლოდ მაინც აღიკვეთოს და კანონები, დემოკრატიისა და სახალხო სუვერენიტეტის პრინციპების შესაბამისად, მხოლოდ იმ სახელმწიფო ინტიტუტების წარმომადგენლების მიერ დაიწეროს, რომლებსაც შესაბამისი ლეგიტიმაცია საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე აქვთ მინიჭებული“.

ბატონებო და ქალბატონებო, რა გამოდის?

თუ გასული წლების განმავლობაში დამკვიდრდა მანკიერი პრაქტიკა, თუ საელჩოს წარმომადგენლები პარლამენტის სამუშაო ჯგუფებში უშუალოდ ისხდნენ და კანონშემოქმედებით პროცესში იღებდნენ მონაწილეობას, გამოდის, რომ ჩვენში აზრი არ ჰქონია არც არჩევნებს, არც საკანონმდებლო ორგანოს, არც სადეპუტატო მანდატს და არც არაფერს, გამოვუყოთ კაბინეტები აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლებს, დავუნიშნოთ მაღალი ხელფასები (დაბალს ხომ არ ვაკადრებთ?), ვუყიდოთ ძვირადღირებული შავი ჯიპები, მივუჩინოთ მძღოლები და წერონ კანონები. თურმე მაინც მიჩვეულები ყოფილან, თურმე აქამდე მაინც ეგენი წერდნენ. მერე იტყვით, ნეტავ დეგნანაანთ კელი რამ გააცოფა, ქოშებს უკუღმა რატომ ისვრისო? იმიტომ ისვრის, რომ მაგისი ხელქვეითები, პარლამენტში „პარადი“ ვისაც მიჰყავდა, გამოუყარეთ, თავიანთ ნებაზე კანონებს აღარ აწერინებთ და საერთოდ, ძაღლებადაც აღარ აგდებთ. გაცოფდებოდა ქალი, მა რა იქნებოდა?!

„ქართული ოცნებიდან“ გასულები შემდეგ ამბობენ: „საელჩო საქართველოს პარლამენტისგან ხუთი კონსტიტუციური ნორმის შეცვლას ითხოვს. საუბარია ნორმებზე, რომლებიც ვენეციის კომისიის მიერ უკვე არის სამართლიანად და უხარვეზოდ შეფასებული. ესეც არის სახელმწიფოს მიმართ უპატივცემულო და უხეში დამოკიდებულების გამოვლინება... პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საელჩოს ინსტრუქციაში შემოთავაზებულ ნორმებს დემოკრატიულ სამყაროში ანალოგი არა აქვს. ამ ინსტრუქციის გათვალისწინების პირობებში, ოპოზიცია იღებს სრულ კონტროლს მოსამართლეების არჩევასა და დანიშვნაზე. ვერც ერთი მოსამართლე ვეღარ აირჩევა ან დაინიშნება „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტების თანხმობის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სისტემაში მისთვის სასურველი მოსამართლეების შეყვანას შეძლებს“.

რატომ უნდა თათის დადება კელი დეგნანს სასამართლოზე? იმიტომ, რომ ეს ისეთი ბერკეტია, შეგიძლია, ხელისუფლებას ნებისმიერ მომენტში შეუქმნა პრობლემა და დაამხო კიდევაც. აშშ-დან გამოგზავნილმა ე.წ. დიპლომატმა იცის, როგორ და რანაირად უნდა მართოს ეს ქვეყანა - გუშინწინ ხომ რურუა და უგულავა გამოუშვა ციხიდან? გუშინ ხომ ირაკლა ოქრუაშვილი გამოაგდო პოლიტდევნილის სტატუსით? ხვალ მიხეილ სააკაშვილს გამოუშვებს და კლინიკის კართან ყვავილებით დახვდება. მეტიც, მერე იმასაც გამოუშვებს, მეგისა ქარდავას, თვითმფრინავის ტრაპიდან ქართულ მიწაზე რომ დაემხო და ლოცვაც რომ აღავლინა. გამოუშვებს და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით დაასაქმებს, ეგეთების მეტი რა გაუკეთებია? სადაც ქვეყნის ამკლები რურუა პოლიტიკოსად აქცია, მეგისი ადამიანის უფლებების დამცველი ვერ იქნება?!

როგორც გასულთა წერილში ვკითხულობთ, საელჩოს მესამე ინსტრუქცია სრულიად გამაოგნებელია. კელი დეგნანი, არც მეტი, არც ნაკლები, აცხადებს, რომ უზენაესი სასამართლოს სამი მოქმედი მოსამართლე - ნინო ბაქაქური, ეკატერინე გასიტაშვილი და ზურაბ ძლიერიშვილი უვადოდ უნდა დაინიშნონ. კონსტიტუციის თანახმად, ამ გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და საქართველოს პარლამენტში იღებენ.

ამას წინებზე ამათი სამუშაო გრაფიკი გამოიკვლიეს და ყველაზე უდისციპლინოები ესენი აღმოჩნდნენ, ასეულობით საქმეზე აქვთ დარღვევები და დაგვიანებით განხილული. რაც მთავარია, ეს მოსამართლეები არიან აშშ-ის საელჩოს ფავორიტები. განა აშშ-ის ფავორიტები? არა, კელი დეგნანის ფავორიტები!

მოდით, ყველას და ყველაფერს დავანებოთ თავი, ბოლოს და ბოლოს, ვინ გდია ვინმე დეგნანი, თუნდაც აშშ-ის ელჩი, რომ საქართველოში განაგებდეს სასამართლოს და უვადოდ ნიშნავდეს მოსამართლეებს? ვინ არი, რას წარმოადგენს, რა უფლებამოსილებანი გააჩნია? შეცდომა თავიდან არის დაშვებული, ჯერ კიდევ შევარდნაძის ზეობის ხანაში, როცა აქაურობის მართვა-გამგეობა ამერიკელებმა დაიწყეს... როცა ტელევიზორში გვეუბნებოდნენ, რუსებთან საერთო ენა გამოძებნეთო და თუ ტელევიზორს მიღმა რომელიმე ჩინოვნიკი რუსებთან საერთო ენის ძებნას დააპირებდა, ეგრევე აქრობდნენ, ეგრევე ცხრა მთას იქით გადაკარგავდნენ. ახლა აქეთ გვაყვედრიან, 6 მილიარდი დოლარი დაგახარჯეთო, საიდან ანგარიშობენ, რას ანგარიშობენ, ან ეს ფული ვის და რას მოხმარდა, არავინ იცის. ერთი ცხადია, ამ თანხის ძირითადი ნაწილი პარაზიტი არასამთავრობოების შენახვაში წავიდა და დღესაც მიდის. კი, ბატონო, ამბობენ, რომ ქართულ ჯარშიც მიდის დახმარებები, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ რამდენი გავიღეთ? ვიყავით ავღანეთში, ვიყავით ერაყში, ვიყავით კოსოვოში, ვიყავით ცენტრალურ აფრიკაში, ვიყავით მალის რესპუბლიკაში, დავკარგეთ უამრავი სიცოცხლე. უარი არაფერზე გვითქვამს, უკან არასდროს დაგვიხევია და ახლა გვეუბნებიან, მოსამართლეები მუდმივად ჩვენ უნდა დაგინიშნოთ, თქვენ ვერ შეარჩევთ, საამისო უნარები არ გაგაჩნიათო. თან რომელი მოსამართლე? ვინმე ნინო ნინო ბაქაქური, რომელსაც თურმე 2017 წლიდან დღემდე ვადის დარღვევით 560 საქმე აქვს განხილული. თუნდაც ფრიადოსანი მოსამართლე იყოს ეს ბაქაქური, ვინ ჰკითხავს აშშ-ის ელჩს, ბრძანებას რომ იძლევა, გინდათ თუ არა, მუდმივად დანიშნეთო?

„აღნიშნულის გაგრძელებაა ელჩის მოულოდნელი და შეუთანხმებელი ვიზიტები სასამართლოებში“, - ვკითხულობთ დეპუტატების წერილში და ვერ ვიჯერებთ. ეს უბრალოდ დაუჯერებელია, თურმე ელჩი მოულოდნელად, შეუთანხმებლად „დაბრძანდებოდა“ მოსამართლეებთან და ალბათ ბრძანებებსაც იძლეოდა. წარმოგიდგენიათ? აბა, ესა ყოფილა ოლიგარქიც, მეფის ნაცვალიც, ცეკას მეორე მდივანიც და ამ ქვეყნის მთავარი ვექილიც. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე წარმოიდგინა და როცა წითელი აუნთეს, იუკადრისა, ჯერ გაოცდა, მერე გაბრაზდა, ახლა კი გაცოფდა და უკადრებლები იკადრა. მის „უკადრებლებზე“ ბოლოს მოგახსენებთ, მანამდე კი კიდევ ერთი საინტერესო პასაჟი „ქართული ოცნებიდან“ გასულთა წერილში: „ჩვენი წინა განცხადების ქართველოს პარლამენტისგან ხუთი კონსტიტუციური ნორმის შეცვლას ითხოვს. საუბარია ნორმებზე, რომლებიც ვენეციის კომისიის მიერ უკვე არის სამართლიანად და უხარვეზოდ შეფასებული. ესეც არის სახელმწიფოს მიმართ უპატივცემულო და უხეში დამოკიდებულების გამოვლინება... პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ საელჩოს ინსტრუქციაში შემოთავაზებულ ნორმებს დემოკრატიულ სამყაროში ანალოგი არა აქვს. ამ ინსტრუქციის გათვალისწინების პირობებში, ოპოზიცია იღებს სრულ კონტროლს მოსამართლეების არჩევასა და დანიშვნაზე. ვერც ერთი მოსამართლე ვეღარ აირჩევა ან დაინიშნება „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისი სატელიტების თანხმობის გარეშე, რაც ნიშნავს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ სისტემაში მისთვის სასურველი მოსამართლეების შეყვანას შეძლებს“.

ეს ბრალი ოყო? არამც და არამც, ესეც აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ დეგნანი „ნაციონალების“ დაკრულზე ცეკვავს და არ უკვირდება, რას ცეკვავს, როგორ ცეკვავს. თქვენი არ ვიცი და... მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს ქალი ცოტა განათლების მხრივაც უნდა მოიკოჭლებდეს - როცა ამხელა კულტურის ქვეყანაში ელჩობ, მხოლოდ გუშინდელ წარსულს კი არა, ისტორიას უნდა გადახედო და შეისწავლო, ასე უკეთესად გეცოდინება, ვის როგორ ელაპარაკო. თუმცა ერთიც რამეც გვაქვს გასათვალისწინებელი: ამ დღეებში გერმანიის ბუნდესტაგის ერთ-ერთმა ყოფილმა ქალბატონმა წევრმა განაცხადა: „თუ თქვენ გყავთ სტრატეგიულ პარტნიორად ამერიკის შეერთებული შტატები, მეტი მტერი აღარც გჭირდებათ“.

გამოგიტყდებით, მე არ მინდა, ამერიკელებისგან მტრები დავხატო, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას... თუნდაც ის უნდა ითქვას, რომ ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბების ჩამომყრელებს ცოტა ნაკლები გონორი უნდა ჰქონდეთ, აღარაფერს ვამბობ მილიონობით ინდიელების გამჟლეტებზე. ვეცდები, ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში ამ თემაზე გესაუბროთ, დავიწყებ ინდიელებით და დავასრულებ ავღანალებით, სადაც საოცარი რამ ჩაიდინეს ჯერ კიდევ შარშან.

ასე რომ, გაგრძელება იქნება.

ლარის ზომიერად გაუფასურების არ უნდა შეგვეშინდეს

გვესაუბრება ფინანსისტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

— ბატონო ვახტანგ, ლარი ხან ზევით მიიწევს, ხან ქვევით. რა პროცესებთან გვაქვს საქმე და რა რისკები არსებობს ეროვნული ვალუტის გამყარების ფაქტორებში?

— დღევანდელ სიტუაციას — ზაფხულის პერიოდს თუ განვიხილავთ, ლარი იქედან გამომდინარე გამყარდა, რომ უშუალოდ, ჩვენს ვალუტაზე მოთხოვნა გაჩნდა. ეს განაპირობა როგორც დასვენების პერიოდმა, რადგან ამ დროს ხალხი დოლარს ახურდავებს, ისე რუსეთიდან ვიზიტორების შემოდინებამ. ამიტომ, ტურისტებსაც დოლარის დახურდავება მოუწიათ, რადგან აქ, ხარჯი, თავისთავად, ლარში აქვთ. ასევე, რუსეთიდან ჩამოსულმა ადამიანების დიდმა ნაწილმა საქართველოში საკუთარი ბიზნესი გახსნა, რაც ასევე, ლარის მოთხოვნასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, დოლარის მიწოდება, გარკვეულწილად, გაიზარდა. „ეროვნულმა ბანკმაც“ განახორციელა ინტერვენცია. დღესდღეობით, ვითარება შემდეგია: მოსახლეობის პრიორიტეტები შეიცვალა, რამაც იმპორტული საქონლის მოთხოვნის შემცირებაზე გავლენა მოახდინა. აქედან გამომდინარე, იმპორტიორებსაც დოლარზე ნაკლები მოთხოვნა აქვთ, რამაც საბოლოო ჯამში, ლარი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. თუმცა, სექტემბერში, ალბათ, ეს სიტუაცია, გარკვეულწილად, შეიცვლება. ჩემი აზრით, უშუალოდ, ლარის სტაბილურობა დაკავშირებულია არა მხოლოდ „ეროვნული ბანკის“ ფულად-საკრედიტო მონეტარულ პოლიტიკაზე, არამედ ინვესტიციების სიმცირეზეც. ჩვენ, თუ იმ მიმართულებით ვიფიქრებთ, რომ როგორმე საინვესტიციო ნაკადები უცხო ვალუტაში გაიზარდოს, ამ ყოველივეს ლარის კურსზე ბევრად უფრო პოზიტიური გავლენა ექნება. თუმცა, ამას დრო სჭირდება. ყოველ შემთხვევაში, თუ ჩვენი ეკონომიკა პრიორიტეტებს შეიცვლის და მიმართული იქნება, იგივე, ადგილობრივ წარმოებაზე, რაც ნაწილობრივ, საიმპორტო საქონელს ჩაანაცვლებს, სულ სხვა სურათს მივიღებთ. ეს აზრი მთავრობის მხრიდანაც იყო გამოთქმული.

ინვესტორი შექმნილ ვითარებას ხედავს და იმის მიხედვით წყვეტს: დააბანდოს აქ, თანხა თუ არა. რაც შეეხება, შიდა საწარმოო სექტორის განვითარებას, ძალიან პოზიტიური მოვლენა იქნება იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, ეს განაპირობებს როგორც ექსპორტის, ისე შიდა მოხმარების გაზრდას, რაც ლარის კურსზე პოზიტიურად იმოქმედებს. აქედან გამომდინარე, ლარის კურსიც, თავისთავად, დასტაბილურდება. იმიტომ, რომ როდესაც კურსი ერთ ნიშნულზე დგას. ლარის კურსმა უნდა იმოძრაოს გარკვეულ დიაპაზონში, ეს ნორმალურია. ზოგადად, ინფლაციური მომენტები ჩვენთვის, ყოველთვის, ძალიან მტკივნეულია — საიმპორტო საქონელზე გაზრდილი ფასები მოსახლეობის ჯიბეს კიდევ უფრო აღარიბებს. თუმცა, ვფიქრობ, საიმპორტო საქონელზე გაზრდილი ფასები ჩვენი ეკონომიკისთვის, შეიძლება, უფრო პოზიტიურად იქნას გამოყენებული. თუმცა, ლარს, ისევე როგორც ნებისმიერ ვალუტას, იგივე, დოლარს, ევროს, ნორმალურ ეკონომიკურ სივრცეში, სადაც ეკონომიკა ვითარდება გაუფასურების მომენტი, ყოველთვის, გააჩნია. ეს ჩვეულებრივი ამბავია, ოღონდ, გაუფასურება ზომიერი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ზოგადად, კურსის, იგივე, ლარის გაუფასურება, ექსპორტის ფინანსურ მდგომარეობაზე დადებითად მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ლარის ზომიერად გაუფასურების არ უნდა შეგვეშინდეს.

რაც შეეხება ვალუტის კურსს, შეიძლება, დღეს მაღალი იყოს, ხვალ — დაბალი, მთავარია, ლარის კურსის დასტაბილურების ტენდენციები გამოიკვეთოს. აღნიშნული ტენდენციები კი მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს სტაბილური და პოზიტიური, თუ ქვეყანაში, ინვესტიციების სახით, სავალუტო ნაკადების შემოდინება მოხდება. აქ, პირდაპირ ინვესტიციებს არ ვგულისხმობ, არამედ ინვესტიციებს ეკონომიკის რეალურ, საწარმოო სექტორში, რომელიც უკვე მზად იქნება იმისთვის, რომ ნაწილობრივ მაინც ჩაანაცვლოს საიმპორტო საქონელი. საბოლოო ჯამში, ეს ტენდენცია თუ გაგრძელდა, ეკონომიკაზე პოზიტიურად აისახება. მთავარია ჩვენ, სწორად შევარჩიოთ ის პრიორიტეტები, რაც ქვეყანაში უნდა განვითარდეს. ანუ, ცალკეული დარგები უნდა განვითარდეს და მასში მოხდეს ინვესტირება. ასევე, მისასალმებელი იქნება აქ, იგივე, უცხოური საწარმოების ფილიალების გახსნა. ეს მოსაზრება, თავის დროზე, ეკონომიკის მინისტრის მხრიდანაც გაჟღერდა, მაგრამ ჯერჯერობით, საქართველოში უცხოური საწარმოები არ გახსნილა, იგივე, ჩინეთის ან მისი შვილობილი კომპანიების. ალბათ, ეს მოლაპარაკების საგანია, რაშიც ხელისუფლება უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საშუალო ბიზნესის წარმოების განვითარება, რასაკვირველია, პრიორიტეტულია, თუმცა, აქვე, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და კოოპერატიული ტიპის ბიზნესის განვითარებას. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, მთავარი სახელმწიფოს ინიციატივებია. ვთქვათ, მისი ინიციატივით შეიქმნას სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც ამ დარგის საწარმოებს მიზნობრივად დააფინანსებს და მოიზიდავს გარანტიით ბიზნესის წრეებს, ამ შემთხვევაში, უცხოურ ინვესტიციებს, აღნიშნულ თანხებს კი საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისთვის მიმართავს. ეს, პრაქტიკულად, სავალუტო ნაკადების შემოდინება იქნება, რაც თავისთავად, ხელს შეუწყობს კონვერტაციას და დოლარის მიწოდებას. შედეგად, ლარის მიმართ დაინტერესება უფრო გაიზრდება. ეს კომპლექსური მეთოდებია, რაც აუცილებლად გასატარებელია. ცალკეულ, ფრაგმენტულ ქმედებებს, ეფექტი არ მოაქვს. მთავრობის ხელშია თუ რამდენად სწორ საინვესტიციო პოლიტიკას განახორციელებს და რა გარემოს შექმნის საქართველოში. ამაზე, ძალიან ბევრია დამოკიდებული იმიტომ, რომ ლარი როგორც ლაკმუსის ქაღალდი, ეკონომიკის მდგომარეობის მაჩვენებელია. ასე, რომ „ეროვნული ბანკი“ კი დგამს გარკვეულ ნაბიჯებს, იგივე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თვალსაზრისით, ეს ეხება როგორც ინტერვენციას, ისე სარეზერვო ნორმებს, საპროცენტო განაკვეთებს, რეფინანსირების სესხებს და ა.შ. „ეროვნული ბანკი“ ამ ბერკეტებს იყენებს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. იმიტომ, რომ მხარდაჭერა სწორედ მთავრობის მხრიდან უნდა იყოს და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ლარის გაჯანსაღება და ეროვნული ვალუტის სტაბილურობის კურსის მიღწევა, მისი ფასეულობის ამაღლება.

— საქართველოს მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა ვალუტის ყიდვა-გაყიდვიდან 354 მილიონ ლარამდე შემოსავალი მიიღეს. ამითაც ხომ არ აიხსნება ის თუ რატომ ადი-ჩამოდის ლარის კურსი ასე აღმა-დაღმა?

— როცა კომერციული ბანკი ყიდულობს ვალუტას, ის მერე, თავის კურსს ადგენს, რასაც თავის კონდიციები აქვს. რაც შეეხება საბანკო სპეკულაციებს, ჩვენთან არ არის, მაინცდამაინც, ისეთი გარემო, რომ ეს მოხდეს. კი, რა თქმა უნდა, შესაძლოა, კლიენტთან ფიქსირებულ კურსზე წინასწარი გარიგება შედგეს და მერე, ვალუტის შეძენა უფრო დაბალი კურსით მოხდეს. თუმცა, ეს იშვიათად ხდება. ამიტომ, ვერ ვიტყვი, რომ აქ, სპეკულაციური ოპერაციებია, უფრო საკომისიო შემოსავლებზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, რაც კომერციულ ბანკებში საკმაოდ მაღალია. ჩვენ, არ გვაქვს ისეთი სავალუტო ინტენსიური ბაზარი, რომ სპეკულაციური ოპერაციები ხორციელდებოდეს. თუმცა, კომერციული ბანკი, ნებისმიერი სტრუქტურა არბიტრაჟულ ოპერაციებს მიმართავს, ეს ჩვეულებრივი მომენტია, რაც ნებისმიერი ქვეყნის კომერციულ სტრუქტურას ახასიათებს.

— ლარი მყარდება, თუმცა ფასები მატულობს. არადა, ქვეყანაში ტურისტებიც მრავლად შემოვიდნენ და არატურისტებიც, რომელთაც ვალუტა შემოაქვთ. რატომ არ ასახავს ლარის გამყარება ეკონომიკურ სინამდვილეს?

— საერთოდ, მსოფლიო ბაზრებზე, ახლა, რეალურად, ფასები გაზრდილია. მარტო ჩვენ არ ვართ ამ დღეში. შედეგად, თვითღირებულებაც იზრდება. ახლა, ყველგან საწვავის გაძვირების ტენდენციაა — ევროპაში, აშშ-ში, ჩინეთში. აქედან გამომდინარე, პროდუქციის თვითღირებულება და რეალიზაციის ფასებიც იზრდება. იგივე, საწვავის შეძენა გაზრდილი ფასებით ხდება. როცა თვითღირებულება იზრდება, ფასებიც იზრდება. ვგულისხმობ, საიმპორტო საქონლის ფასებს. ეს ტენდენცია, ჯერჯერობით, გრძელდება. როცა, ლარის კურსის ტენდენცია, გარკვეულწილად, პროგნოზირებადი იქნება, მაშინ, უკვე, ფასებიც დასტაბილურდება.

— წელან ახსენეთ, სხვა ქვეყნების ვალუტებიც უფასურდებაო. ევროს, დოლარის გაუფასურების ფონზე, რით აიხსნება რუბლის გამყარება?

— დიახ, რუბლი გამყარდა იმიტომ, რომ იქ, მკაცრი მონეტარული პოლიტიკაა, რაც პრაქტიკულად, რემისიას ზღუდავს. გარდა ამისა, მოხდა ფულადი ნაკადების საწარმოო სექტორში გადამისამართება. იმიტომ, რომ ძირითადად, მწვავედ დგას იმპორტის ჩანაცვლების ტენდენცია. აქედან გამომდინარე, ფულადი სახსრები, მეტწილად, წარმოებაშია მიმართული. თანხების გადამისამართება მოხდა საწარმოო სექტორში იმიტომ, რომ ახლა, იქ, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ფონზე, იმპორტის ჩანაცვლების პოლიტიკა ხორციელდება, სადაც ამ შემთხვევაში, ფულის მართვის რემისია შეზღუდულია. წორედ ამან განაპირობა, უშუალოდ, რუბლის გამყარება.

— ომიდან 6 თვე გავიდა. რა შეგვიძლია ვთქვათ ომის შედეგებზე ქართულ ეკონომიკაში და ზოგადად, მსოფლიოში?

— ეს ვრცელი თემაა. ზოგადად, მთელმა მსოფლიომ იზარალა იმიტომ, რომ ეკონომიკური სისტემიდან რუსეთის ექსპორტის ამოგლეჯვა, ევროპას ძვირი დაუჯდა. აქედან გამომდინარე, ამ ყველაფერმა ევროპის ეკონომიკაზე ძალიან ნეგატიურად იმოქმედა. მათ შორის, აშშ-სა და ჩინეთზეც. ჩვენი ეკონომიკა კი, პირიქით, თუ სწორი პოლიტიკა გატარდება, შეიძლება მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდეს. იმიტომ, რომ დღესდღეობით, კაპიტალები თავისუფლდება, ხდება პორტფელების გადახალისება. დიახ, თავისუფლდება თანხები და ინვესტორები ფულის დასაბანდებლად ადგილს ეძებენ. ასე, რომ ჩვენი ეკონომიკის გასაძლიერებლად, ეს მომენტი შეგვიძლია კარგად გამოვიყენოთ. თავისთავად, ცხადია, რომ ზოგადად, იგივე, ფასების ზრდა, დესტაბილიზაცია ეკონომიკური კუთხით, მსოფლიო მასშტაბით ნეგატიური მოვლენაა. მაგრამ ჩვენ, ექსპორტის განვითარებაზე უნდა ვიფიქროთ და რაც შეიძლება მეტი ინვესტიცია მოვიზიდოთ. ინვესტორი თანხების დაბანდებას სწორედ განვითარებადი ეკონომიკების ქვეყნებში ცდილობს. ეს მომენტი საჩვენოდ უნდა გამოვიყენოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე

დესტაბილიზაცია საქართველოში გამოიწვევს გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევას ამიერკავკასიაში და საქართველოს სრულ დაშლას

გვესაუბრება პოლიტიკის ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე

— მოგესალმებით, ბატონო სოსო, თქვენ არაერთხელ აღგინიშნავთ, რომ მსოფლიოში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა დგება, ახალი მსოფლიო გადანაწილების მომსწრენი ვართ. რა ეტაპზეა ახლა ეს პროცესი და როგორია საქართველოს როლი დღეს ამ მოცემულობაში?

— მოგეხსენებათ, იალტა-პოტსდამის ზავის შემდგომ პერიოდში, რომლის დროსაც მსოფლიოში არსებობდა ძალის ორი ცენტრი-აშშ და საბჭოთა კავშირი, ამ უკანასკნელის დაშლის შემდეგ შეერთებული შტატები მსოფლიო ჰეგემონი გახდა. ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების გაძლიერების კვალდაკვალ აშშ-ს ერთპიროვნულ ჰეგემონიას საფუძველი ეცლება. ამავე დროს ქვეყნები გლობალური ეკონომიკის და მისი ფუნქციონირების კოდით-მსოფლიო სარეზერვო ვალუტით ერთმანეთთან სიამის ტყუპებივით არიან გადაბმულნი, ხოლო გლობალური საფინანსო და ტრანსნაციონალური კორპორაციები დამოუკიდებელ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ აქტორად ჩამოყალიბდნენ. ამიტომ ტრადიციულ დაპირისპირებას სუპერგაერთიანებებს შორის დაემატა ეს ფაქტორი, რაც გლობალური პოლიტიკის კალეიდოსკოპს კიდევ უფრო რთულს ხდის.

თვითონ შეერთებულ შტატებში ორი ძირითადი მიდგომაა, ამ მიდგომებით დაინტერესებული ორი ძალა არსებობს-პირველი გულისხმობს შეერთებული შტატების სრულ დომინაციას მსოფლიოზე, ფედერალური რეზერვის გადაქცევას ცენტრალური ბანკების ცენტრალურ ბანკად, კონკურენტების ჩამოცილებას მათი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების დესტაბილიზაციით და მსოფლიო ეკონომიკური ცენტრის კვლავ შეერთებულ შტატებში და მის მიერ შერჩეულ ზონებში ლოკალიზებას. ამ მიზნის მისაღწევად გამოიყენება ყველა საშუალება-დაწყებული გენდერული თეორიით, „მწვანე დღის წესრიგით'', პანდემიური სცენარებით და დამთავრებული ქვეყნებში და ქვეყნებს შორის არასტაბილურობის და ომების გამოწვევით.

ამ ძალას წარმოადგენს დღევანდელი ბაიდენის ადმინისტრაცია, რომელიც სწორედ ტრანსნაციონალური საფინანსო-საბანკო კაპიტალის, ფარმაკოლოგიური გიგანტების და ბიგტექის-სოციალურ ქსელებისა და გლობალური მედიების მეშვეობით იქნა მოყვანილი ხელისუფლებაში. სრულიად გასაგები იყო და არაერთხელ გვითქვამს, რომ ბაიდენის გამარჯვება მსოფლიოს გლობალური ომის საფრთხის წინაშე დააყენებდა, რასაც, სამწუხაროდ, ვხედავთ.

მეორე მიდგომა, რომელსაც განასახიერებდა ტრამპის ადმინისტრაცია, გულისხმობს აშშ-ს პირველობას თანაბართა შორის, სარეზერვო ვალუტის და აშშ-ს სახელმწიფო ვალის საკითხის ეტაპობრივი და თანამშრომლობის გზით გადაწყვეტა გლობალური ეკონომიკური კოლაფსის თავიდან ასაცილებლად, აშშ-ს საგარეო-სამხედრო აქტიურობის შეზღუდვას და ნატოს შენახვაში მოკავშირეების მონაწილეობის გაზრდას, ამერიკული სამრეწველო საწარმოების უკან დაბრუნებას შტატებში, მიგრაციის შეჩერებას და ა.შ. ტრამპი ხელისუფლებას ჩამოაცილეს და ყველა ღონეს გამოიყენებენ, რომ ის არ დაბრუნდეს. ამისთვის უპრეცედენტო ზომებსაც მიმართეს-მისი სახლიც კი გაჩხრიკეს და დაპატიმრებით ემუქრებიან. ეს გასაგებიცაა: ნოემბერში კონგრესის და სენატის არჩევნებში დემოკრატებს დამარცხება ემუქრებათ და ისინი ყველაფერს იზამენ, რომ ეს არ დაუშვან. ამ კონტექსტშია განსახილველი გლობალური პროცესები, მათ შორის, უკრაინის და ჩვენიც.

არაერთხელ მითქვამს, რომ უკრაინული მორევი კაცობრიობას, დიდი ალბათობით, უდიდეს დაპირისპირებაში ჩაითრევდა. სამწუხაროდ, ასეც ხდება და არ ჩანს ამის შემაკავებელი ძალა. ვგულისხმობ იმას, რომ ფსონები უკრაინაში გამარჯვებაზე გაზრდილია და ღრმად იჭრება მხარეების შიდა პოლიტიკურ დისკურსში. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინაში დასავლეთის პოლიტიკა დამარცხდება, დემოკრატიულ პარტიას შეერთებულ შტატებში კრახი ელოდება. მას ისედაც ელოდება მძიმე მარცხი, თუ იმავე მეთოდებს არ გამოიყენებენ, რაც გამოიყენეს წინა არჩევნებზე. თუმცა კრახი უკრაინაში დამარცხების შემთხვევაში, იმ კოლოსალური ხარჯების გათვალისწინებით, რაც აშშ-მ უკრაინისთვის გაიღო, კატასტროფული იქნება, რაც ხელისუფლებიდან მათ იტომ კოლექტიური დასავლეთის კონსოლიდაცია ამ მიმართულებით გაგრძელდება, რაც შემდგომ მოქმედებებში გამოიხატება: ეს იქნება საინფორმაციო ომის ინტენსიფიკაცია; ეკონომიკური ომის ინტენსიფიკაცია და ყველაზე საშიში, ამ მოქმედებების გადაზრდა ახალ-ახალ კონფლიქტებში, ანუ რუსეთის გარშემო ანაკონდას ცეცხლოვანი მარყუჟის აალება.

სხვათა შორის, ამ ანაკონდას მარყუჟში ჩვენც მოვიაზრებით. შესაბამისად, საქართველოში მიმდინარე პროცესები, აგენტურის გააქტიურება სრულიად აბსურდული ლოზუნგებით, რომ რადგან ევროკავშირის მითიური წევრობის კანდიდატად არ მიგვიღეს, ამიტომ უნდა შევქმნათ ტექნიკური მთავრობა, აიხსნება სწორედ ამ გლობალური დაპირისპირებით.

ე.წ. ოპოზიციის აქტიურობის უკან არის დიდი ფული და სერიოზული აგენტურული ქსელი. რეალურად, მიმდინარეობს სრულიად კონკრეტული დიქტატი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უნდა შეუქმნას პრობლემები რუსეთს ყოველგვარი გარანტიების გარეშე, მიუხედავად იმისა, რა შედეგები მოჰყვება ამას საქართველოსთვის. ეს არის თამაშის მთელი ანატომია.

ცხადია, სოზარ სუბარმა, მიხეილ ყაველაშვილმა და დიმიტრი ხუნდაძემ ძალიან კარგად იციან სიმართლე და თვითმკვლელობა არავის უნდა. უსირცხვილობა და ქვეყნის მტრობა ისაა, რომ ოპოზიციამაც ძალიან კარგად იცის, რაშია საქმე, მაგრამ ამას ასაღებენ, ვითომ ეს რუსული ნარატივია. სინამდვილეში, ეს არის გეოპოლიტიკური ომი და ამ ომში ჩვენმა ქვეყანამ, რომლის კონსტიტუციაშიც წერია, რომ ჩვენ ვისწრაფვით ნატოსა და ევროკავშირისკენ, მათი გაგებით, უნდა შეასრულოს „თავისი როლი". მათი აზრით, ეს როლი არის რუსეთისთვის სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების შექმნა, რისთვისაც დაიწყო ეს ბრძოლა. ჯერჯერობით ეს არის პროქსი ომი, ანუ ომი მოკავშირეების მეშვეობით, ეს ომი მიმდინარეობს რუსეთის საზღვრის მთელ პერიმეტრზე, ამ ომის კერების გაჩენისთვის მიმდინარეობს პოლიტიკური ზეწოლა, რისთვისაც ყველა ბერკეტს იყენებენ. მსგავსი პროცესები მხოლოდ ჩვენთან არ ვითარდება, იგივე მიდგომებია ლიტვის, მოლდოვის, შუა აზიის ქვეყნების, ავღანეთის მიმართ. უკრაინაში ხომ თავისთავად. იგივე მიმართულებებია რუსეთის ჩრდილოეთით. ნატოში შეჰყავთ შვედეთი და ფინეთი და რაც მთავარია, პოლიტიკურ კულუარებში ეს ზეწოლა სრულიად აშკარად მიმდინარეობს. თვით ზეწოლის ცინიზმი ისაა, რომ ზეწოლის ობიექტებს, ამ შემთხვევაში, საქართველოს მთავრობას, უფლებას არ აძლევენ, სიმართლე თქვან, თუ რაშია საქმე, რათა შემდგომში აღარ აიღონ პასუხისმგებლობა მომხდარზე და ყველაფერი საქართველოს მთავრობას დააბრალონ, თითქოს ყველაფერი მათი

ინიციატივით მოხდა.

სიმართლე უნდა ითქვას, სააკაშვილის პერიოდშიც ასე იყო — ვითომ სააკაშვილი გაგიჟდა და იმიტომ დაიწყო ომი ცხინვალის რეგიონში. მას ვითომც „ურჩევდნენ“, ეს ნაბიჯი არ გადაედგა. ასეთივე სიტუაციაა დღესაც.

— ქალბატონი დეგნანი თავს უფლებას აძლევს დამოუკიდებლად აღიარებულ ქვეყანას და მის ხელძღვანელობას და როგორც ბოლო ხანებში აღმოჩნდა, უმაღლეს სასამართლო პირებსაც, დირექტივებს და პირადი განწყობიდან გამომდინარე ბრძანებებსაც აძლევდა...

— ქალბატონი კელი დეგნანის მოქმედებები, მიუხედავად მისი სრული შეუსაბამისობისა ელჩის სტატუსთან, სავსებით ლოგიკურია. იგი გამოხატავს ამერიკელების გულისწყრომას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უარი თქვა იმ გეოპოლიტიკური ფუნქციის შესრულებაზე, რომელიც მას განუსაზღვრეს, ამიტომ მან ფაქტობრივად საქართველოს მთავრობა არალეგიტიმურად გამოაცხადა.

საოცარია კელი დეგნანის მიერ წამოყენებული ულტიმატუმები. ფაქტობრივად, ის ღიად მოითხოვს სასამართლო ხელისუფლებაზე კონტროლს. მახსენდება ერთი ჩინელი ტელეწამყვანის მახვილგონივრული შენიშვნა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის ენტონი ბლინკენის მოთხოვნაზე ჩინელებისადმი შეერთებოდნენ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ: მომეხმარე ჩემი მტრის დამარცხებაში, რაც დამეხმარება იმაში, რომ შემდეგ შენ დაგამარცხოო.

ზუსტად ასეთივე ლოგიკით ითხოვს დეგნანი „ოცნებისგან“: მომეცით სასამართლო, რომ გაგასამართლოთ.

იგივე კონტექსტში უნდა განვიხილოთ ევროკავშირის გადაწყვეტილება საქართველოსთვის კანდიდატის სრულიად უფუნქციო და არაფრისმომცემი სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

— მით უფრო, რომ იწურება იმ 12-პუნქტიანი, ასე დავარქმევ, „საშინაო დავალების“ შესრულების ვადა და ჩვენი პოლიტიკური პედაგოგების მიერ მოცემული მიმართულება დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით ჯერ არ შესრულებულა, და დიდი ეჭვი მაქვს, რომ არც შესრულდება. თქვენი აზრით, რა ხდება მერე?

— თორმეტპუნქტიანი გეგმა ხომ საერთოდ ანეგდოტური და ამორფულია და ზუსტად იგივე პათოსითაა გამსჭვალული, რაც დეგნანის მოთხოვნები. ხელისუფლებას მოუწოდებენ საკუთარი ხელით გამოიჭრას ყელი და ხელისუფლებაში სრულიად გაკოტრებული და გამასხარავებული ე.წ. ოპოზიცია მოიყვანონ, რომელთაც ხალხის მხარდაჭერა ისტორიულ მინიმუმზე აქვს დაყვანილი.

გასაგებია, რომ „მეხუთე კოლონა“ პარტიების, მედიების და არასამთავრობოების სახით სექტემბერში იგივე სცენარის გათამაშებას დაიწყებს-ესაა ხელისუფლებისა და მათ მიმართ მეტად აგრესიულად განწყობილი მოსახლეობის უმრავლესობის პროვოცირება, რათა გამოიწვიონ დაპირისპირება და შეტაკებები და თუ გაუმართლებთ, მიიღონ მათთვის ესოდენ სანატრელი საკრალური მსხვერპლი, რაც საშუალებას მისცემს აშშ-ს და ევროკავშირის საელჩოს, რომ ეს გამოსვლები „სახალხო აჯანყებად“ მონათლონ და ლეგიტიმაცია მისცენ.

ცხადია, მოვლენების განვითარებას ყურადღებით ადევნებს თვალს რუსეთი, რომელსაც თავისი გეგმები და რაც მთავარია, ამ გეგმების განსახორციელებლად თბილისიდან 40 კილომეტრში სამხედრო ბაზები აქვს განლაგებული, სხვა ინსტრუმენტებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ამ ვითარებაში, არც რუსეთს გაუჭირდება მონახოს ჩარევის საბაბი, მით უმეტეს, იგეგმება ნატოს ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნები საქართველოში.

აქედან ის მარტივი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დესტაბილიზაცია ქვეყანაში, რადგან ეს გამოიწვევს გეოპოლიტიკური ბალანსის დარღვევას ამიერკავკასიაში და საქართველოს დაშლა-გადანაწილებას დიდი მსხვერპლითა და ნგრევით.

აქ პოლიტიკურ სიმპათია-ანტიპათიებზე არაა საუბარი, საქმე საქართველოს ყოფნა-არყოფნას ეხება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ჩვენ მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ და მშვიდობიანად უნდა ვიცხოვროთ დღევანდელ მსოფლიოში

ზელენსკიმ, ისევე როგორც საკაშვილმა, თავისუფლად გაწირა თავისი ქვეყანა და დღეს ყველა ვხედავთ, ხანგრძლივი ომია გაჩაღებული უკრაინაში, ნადგურდება ქალაქები, იხოცებიან უდანაშაულო ადამიანები.

ომი რომ დაწყებულიყო საქართველოში, მე არ ვიცი, მაგრამ ავანტურისტებს ეცოდინებათ, რა ფორმით და ხერხით შეიძლებოდა აქ ომის გაჩაღება, ან როგორ ვაპირებდით აფხაზეთში ხელახლა შეჭრას, როგორ ვაპირებდით სამაჩაბლოს დაბრუნებას.

ყველას გვახსოვს, რაც მოჰყვა აფხაზეთში ომს — ტერიტორია დავკარგეთ, ვინ იცის, რამდენი ხნით, დავკარგეთ ადამიანები, აფხაზები, ახალგაზრდა თაობა ჩაწვა აფხაზეთის მიწაში, დაუვიწყარია კოშმარული ჭუბერის საშინელი გზაც — საკუთარი სახლებიდან ოტებული ადამიანები გზადაგზა ტოვებდნენ შიმშილისგან და დაღლილობისგან ძალაგამოცლილი მოხუცების, ჩვილი ბავშვების, ახალგაზრდების გვამებს, გაწყდა კავშირები, ურთიერთნდობა და მეგობრობა.

ცხინვალში რაც ჩაიდინა საკაშვილმა, ვითომ კონსტიტუციური წესრიგის აღსადგენად, დუეს რომ იწმენდდა დაღეჭილი ჰალსტუხით, იმ დროს, როცა იქ ავტონომია ჰქონდა უკვე დამტკიცებული და პრეზიდენტად ეჯდა ლოყაზე ხალიანი სანაკოევი, იყო დიდი შეცდომა. პროვოკაცია მოაწყო აფერისტმა, რომელიც ახლა სატუსაღოში კვნესის და თავისუფლებაზე უნდა გადაშლიგინება ამ საუკუნის ავანტურისტს.

ყველამ ყველაფერი კარგად იცის, რა მოხდა 2008-ში, მაგრამ ამას უკვე მნიშვნელობა არ აქვს, ოსებმა ტერიტორია მიიღეს და თუ მოგება ჰქვია ძმათამკვლელ ომში გამარჯვებას, მოიგეს მათ ეს ომი. რა მნიშვნელობა აქვს ვისი დახმარებით. მთავარი მიზეზები კი არა შედეგებია.

ამას აპირებდნენ ახლა, ახალ ავანტურას, ახალ შეცდომას, ახალ სირცხვილს და ახალ დაცემას.

უსამართლო იქნებოდა ეს ე.წ. მეორე ფრონტი და თუ რატომ, ყველამ თავის გულში ჩაიხედოს.

მილევადი ერი ვართ ჩვენ, გაქრობის პირას არიან აფხაზები, ერთმანეთის მოსპობა ერთმანეთისვე ხელით მტრის გასახარად გაკეთებული საქმეა და ამის გაგებას არ უნდა ფილოსოფია.

არც ბიძინა ივანიშვილია ფილოსოფოსი, მაგრამ ის არის მამულიშვილი.

საყოველთაოდ ცნობილია, ადამიანი (და ცხოველიც), როცა ვინმეზე ან რაიმეზე დიდ ამაგს გასწევს, იმის დათმობა და განადგურება ყველაზე მეტად ენანება, როგორც ბიბლიაშია, სადაც არის შენი საუნჯე, იქ არის შენი სულიცო.

მტერმაც კი იცის, რამდენი რამე გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა, რამდენი ამაგი გასწია, რამდენი ქველმოქმედება, რა რაოდენობის თანხები აქვს დახარჯული ქალაქების ინფრასტრუქტურულ მოწყობაში, ქვეყნის გამშვენება-განაშენიანებაში. ეს უნდათ ახლა რომ დაანგრიონ, რომ მოსპონ და წაშალონ ბიძინა ივანიშვილის ხელწერა. ამიტომ არაფერზე იხევენ უკან, თუნდაც ქვეყანა განადურდეს და დაიქცეს, ოღონდ ბიძინა ივანიშვილის ნამოქმედარი მოსპონ და ბოლოს და ბოლოს „აჯობონ ბიძინას“ — ეკალს და ლახვარს ნაცების თვალსა და გულში, მტრის დამამარცხებელს, ამ დროის საქართველოს ცოცხალ ფარს, რომლის წინააღმდეგ აღსდგა ევროპარლამენტი, კონგრესმენები, მსოფლიოს საფინანსო ჯგუფები.

ამასწინათ მამუკა ჩარკვიანს ვუსმინე, მღეროდა თავისი საოცარი ნიჭით ინვალიდის ეტლში ჩამჯდარი, რამდენი ასეთი ადამიანი არის ბიძინა ივანიშვილის იმედად, რამდენს მიანიჭა სიცოცხლე, რამდენი ავადმყოფი არის მისი დახმარებით გამოჯანმრთელებული, რამდენი ადამიანი ხვდება მზიან დილას მისი გულუხვი სიკეთის წყალობით..

საკუთარი ხელით გაკეთებული სიკეთე ხომ ყველას გვიხარია და გვიყვარს ის, ვისაც სიკეთეს ვუკეთებთ.

ასეა ეს კაციც.

ივანიშვილი საქართველოს მოყვარული და მოკეთეა ისე, რომ არ ლაპარაკობს, არ ითხოვს რეკლამას, არის ჩუმად და აკეთებს ამ ქვეყნისთვის კარგს და მადლობა ეკუთვნის მას ჩვენგან, უბრალო მოქალაქეებისგან.

იდეალური ხელისუფლება არ არსებობს, არც „ქართული ოცნებაა“ იდეალური, მაგრამ ასეთ ზეწოლებში, ასეთ პირობებში, მსოფლიო რყევებში საქართველო რომ ისევ წევს ისტორიის ჭაპანს, რომ კიდევ ფეხზე დგას და შინაურ და გარეშე მტრებს რომ უმკლავდება, მთავრობის პატრიოტი წარმოამადგენლების და მშვიდობისმოყვარე ქართველი ხალხის დამსახურებაა ერთობლივად.

ბევრი მილიონერია საქართველოში. ამას წინათ ისიც კი თქვეს, სააკაშვილს და კეზერაშვილს ივანიშვილზე მეტი ქონება აქვთო. მაზოხისტები ხომ არ ვართ, ბიუჯეტის გამძარცველებს და ჩვენი ფულით, ბინების მშენებლობაში წაღლეტილით, ბანკების ფულის მითვისებით გაამატებულებს, ახლა ისევ ჩვენ რომ პროცენტით გვაძლევენ ჩვენსავე დანაზოგს, თან რომ გვახვეწებენ და მათხოვრად გვაქცევენ, მათზე არაფერს ამბობენ და კაცმა წვალებით რაც დააგროვა, აქ რომ ხარჯავს კეთილ საქმეში, იმას გადაეკიდა ნახევარი მსოფლიო და ნაცსექტანტების ურჯულო ხროვა. წარმოიდგინეთ, ივანიშვილის ავტორიტეტის და გამჭრიახობის გარეშე როგორ ვიქნებოდით, ახლა ნაციონალების ხელში რომ ვყოფილიყავით...

სიმშვიდე და მშვიდობა მოიტანა ამ კაცმა, რევანშისგან, დაჭერების სერიებისგან, შურისძიებისგან, სისხლისღვრისგან, ქუჩაში დახვრეტებისგან, საწამებელი ბუნკერებისგან, ციხეებში სიკვდილისგან, ბოლოს და ბოლოს, ომისგან დაგვიფარა და არ გვეკადრება ქართველებს ამის დაუფასებლობა.

ჩვენ მშვიდობისმოყვარე ხალხი ვართ და მშვიდობიანად უნდა ვიცხოვროთ დღევანდელ მსოფლიოში.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მსოფლიოს მერვე საოცრება

ღია წერილი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობას ილია მეორეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ შალვა პაპუაშვილს, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს



მსოფლიოს პირველ შვიდ საოცრებაზე ხმის დაძვრა უხერხულიც კი მგონია წიგნიერი ხალხის წინაშე. რაც შეეხება ჩვენეულ მერვე ნომინანტს მსოფლიო საოცრების პრეისტორიულ ნუსხაში დასამკვიდრებლად — ყველასთვის მოულოდნელი და წარმოუდგენელიც კია... დიახ, იგი გახლავთ დიდად წიგნიერი და მუსიკალური კულტურით გაჯერებული პიროვნების, ქიმიის დოქტორის, პროფესორის, სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატის, აკადემიკოს **რამაზ გახოკიძის** მიერ ოთხათეული წლის წინათ შექმნილი ფანტასტიკური პრეპარატი <u>**ბიორაგი.**</u>

ბიორაგმა ფეხი კომუნისტობის პერიოდიდან აიდგა, მაგრამ ვერავინ მოიცალა მაშინ მისთვის. მხოლოდ ეროვნულმა მთავრობამ შეიგრძნო ამ გასაოცარი პრეპარატის ზოგადკაცობრიული მნიშვნელობა. წიგნი **„გზა ხსნისა“** 100 000 ტირაჟით გამოიცა იმხანად, მაგრამ ჩაესვენა თავისუფალი საქართველოს მზე და ბიორაგის პერსპექტივებიც ჩრდილში მიდგა.

ბატონი **რამაზ გახოკიძე** ქარიშხლის ჭიქაში დატრიალებას ამაოდ ცდილობდა, ელოდა ჯადოსნურ ძალას, რომელიც ამ გასაოცარ აღმოჩენას მთელს პლანეტაზე დაამკვიდრებინებდა, მაგრამ ამისთანა სასწაულმოქმედი იგვიანებდა და აი, გამობრწყინდა, რაღაც იმედის სხივი — ეს სხივი შეკვეთილის დენდროლოგიური პარკი გახლდათ. სანდო ხალხს გაატანა კიდეც ყველა საჭირო დოკუმენტაცია ბიორაგზე, თუმცა იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ან რანაირად გაიგონებდა ამისთანა სანეტარო ხმას, როცა საჭირო ინფორმაცია მთავარ ადრესატამდე არც კი მიღწეულა. აქ არაფერია უცხო, განა ცოტა გვსმენია ხალხური სიბრძნიდან: **ბევრი ვეცადე შენთვინა, ძლივს მოვახერხე ჩემთვინაო.**

მთავარი წინაღობა ბიორაგის ბლოკირებისა მესასუქეების კასტა იყო და არის დღესაც. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ იმისათვის, რომ ამ გასაოცარ პრეპარატს სახელი გაუტყდეს. მიჰქონდათ ეს სითხე ქართველ ფერმერებს, ზედმიწევნით იცავდნენ თითქოს მცენარის თესლის მისით დამუშავების მეთოდოლოგიას, მოსავალიც მოჰყავდათ, გაცილებით მეტი, როგორც ამას ჩვეულებრივ პირობებში იღებდნენ, მაგრამ აუტკივარი თავის ატკივება არავის სურდა. ნაცადი გზა ისევ იმარჯვებდა — აქ ვიყო და ჭაკ ვიყო. მერედა, ბიორაგს უჭირს გენმოდიფიცირებულ მცენარეებზე ზემოქმედება, რომელიც ადამიანების გადასაშენებლადაა მოფიქრებული. მისი ასპარეზი ძირითადად ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ენდემური ჯიშებია.

იყო შემოთავაზებები თურქეთიდან, ეგვიპტიდან, აფრიკიდანაც კი, მაგრამ **რამაზ გახოკიძეს** ერთის მხრივ მამულიშვილური გრძნობა ამუხრუჭებდა ქვეყნიდან გაეტანა მისი სამშობლოს ასაღორძინებლად შექმნილი პრეპარატი, და მეორე, ის საინვესტიციო ჯგუფები ბიორაგის ფორმულას სთხოვდნენ უკლებლივ, რაც პრეპარატს საერთოდ დაუკარგავდა საქართველოს ამ მამულიშვილურ ძალისხმევას და შესაძლოა მთელ კაცობრიობასაც კი, ვინაიდან ბიორაგი პირდაპირ ცხვირ-პირში ულაწუნებდა და ულაწუნებს დღესაც ანტიპლანეტარულ გენურ ინჟინერიას, ეკოსისტემის გამატიალებელ პესტიციდებს და ჰერბიციდებს, ათასნაირ შხამ-ქიმიკატს, რომლებმაც სამუდამოდ გაანადგურეს ჩვენი პლანეტის ჰუმუსი, მოგებას გამოდევნებული კორპორაციებისა თუ სინდიკატების მადათა სასარგებლოდ.

მოგეხსენებათ, ხელდასხმულებს, როგორც ყველა მოვლენა და ყველა საგანი, ოლიგარქიაც ორნაირია — პროგრესული და რეგრესული, საკაცობრიო და ანტიკაცობრიული. და, აი, ე. წ. ვაი-ოლიგარქიამ დიდი ხანია დედამიწა გარდაუვალი კატასტროფისათვის გასწირა.

საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითს მოვიშველიებ სტატისტიკური მაჩვენებლების გვერდის ავლით:

გაუდაბურებულია ოდესღაც მოხასხასე ტყეები და ველ-მინდვრები; გაიშვიათებულია ჰაერი; ცაში აჭრილი ხეპრული ქალაქები გადაულახავ ბარიერად ეღობება წინ გადამფრენ ფრინველებს, მის კოჭებთან ცვივიან ისინი ფრთებდალეწილები და მათ მიერ მოსასპობმა პარაზიტმა მწერებმა აიშვეს ქვეყნის ოთხივ კიდით; ატმოსფეროში გამოფრქვეული ფაბრიკა-ქარხნების, მანქანა-თვითმფრინავების გაზებისგან, თუ რადიაციული დარდუბალათი მუტაციას განიცდის განუხრელად ფლორა, ფაუნა; დედამიწაზე გლობალური დათბობის შედეგად ინტენსიურად დნება პლანეტის პოლუსებზე ყინულის მასები, რომელიც კაცობრიული წარღვნის უტყუარი წინაპირობაა სახვალიოდ თუ არა, საზეგისოდ მაინც.

მარიამ პიკაძე, გური ოტობაია, რამაზ გახოკიძე

გონებანათელი მილიარდერი **ილონ რივი მასკი** თითქოსდა განწირული სულისკვეთებით გამოასვალს ეძებს თავისი 9 შვილისთვის თუ კაცობრიული ცივილიზაციისათვის, სერიოზული თანხის დაბანდებას აპირებს მარსზე სასიცოცხლო პირობების დასანერგავად. თავისთავად მსგავსი პროექტი თითქოსდა სისხლხორცეულად ემსახურება კაცობრიულ ინტერესებს და ამავდროულად დედამიწის პრობლემებისადმი უნებლიე ზურგის შექცევა მგონია. თუკი მისივე ელექტრომანქანა „ტესლას“ წარმოება კაცობრიობის სამსახურშია, მარსის პროექტეზე მილიარდების გაფლანგვა სრულიად უსაგნური მეჩვენება. არის ვარაუდები, რომ მარსზე ხელოვნური არხები თითქოს წყალთა ნაკადისგანაა წარმოქმნილი; რომ მან სიცოცხლის პოზიცია მილიონობით წლის წინათ დათმო, დაკარგა ატმოსფერო და წითელ პლანეტად იქცა, რომელ შეფერილობასაც რკინის მადნისგან იღებს შორიდან მომზირალი თვალისთვის.

ბერძნულად **ოლიგარქი** უმცირესობის მმართველობას ნიშნავს. ეს იგივე ხელისუფლებაში მდიდარი კაცის ყოფნაა, მაგალითად ქართულ სინამდვილეში რომ გვყავდა დიდი **ილია ჭავჭავაძე**, ან გასულის საუკუნის ოციან წლებში ნავთობის მაგნატი ირანში **აკაკი ხოშტარი**ა, სამ წელიწადს უფასოდ რომ აჭმევდა პურს თავისუფალ საქართველოს.

მსოფლიოში დღეს 3228 მილიარდერია, რომელთა საერთო ქონება დაახლოებით 15 ტრილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ამ თანხის 20-30 პროცენტი დედამიწის პრობლემებისკენ რომ მიმართოს მდიდართა კასტამ, კაცობრიული პრობლემების მეტი წილი ეგრევე აილაგმება — შიმშილი, სიღატაკე, ავადმყოფობა, უცოდინრობა, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ თითო-ოროლას გამოკლებით მათი მეტი წილი გაურბის კაცობრიულ პრობლემებს და მერკანტილური მიზნებითაა დაკავებული. რაც მეტი ოდენობით ეყოლება კაცობრიობას წარსულში **აკაკი ხოშტარიას,** დღევანდელობაში ბატონების: **ილონ რივი მასკის** თუ **ბიძინა ივანიშვილის** გონების ოლიგარქები, მით ნაკლები იქნება საზოგადოებრივი აშლილობანი, რომელიც დედამიწას გულმოდგინედ მიაქანებს გარდუვალი ეშაფოტისაკენ. აი, როგორ და რანაირ ვითარებაშია აღმოცენებული ჩვენს პროტოიბერიულ სივრცეში აკადემიკოს რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი მსოფლიოს **მერვე საოცრება — პრეპარატი ბიორაგი.** მისით დამუშავებული თესლი (ეფექტურია მცენარეზე ბიორაგის ხსნარის შესხურებაც ვეგეტაციის პერიოდში) დაკავებული მიწის ფართობი ტრადიციული გამოფიტვის სანაცვლოდ, გასაოცარ ცხოველმყოფელობას იძენს. თუკი აზოტოვანი და ფოსფორის სასუქებით, პესტიციდებითა და შხამ-ქიმიკატებით სავარგულები ორი-სამი მოსავლის შემდეგ აბსოლუტურად გამოუსადეგარი ხდება, აქ პირიქითაა საქმე, რამდენჯერაც დაკავდება ფართობი სასოფლო-სამეურნეო კულტურით, მით უფრო ნაყოფიერი ხდება. ხოლო რაც შეეხება მასზე მოწეულ პროდუქციას, ნებისმიერი მიმართულებით (ფაუნა, ფლორა), სამჯერ, ხუთჯერ მეტ მოსავალს იძლევა. ამავდროულად ეს მოსავალი აბსოლუტურად უწყინარია ადამიანის ორგანიზმისათვის. ბიორაგით დამუშავებული მცენარე გაცილებით სწრაფზრდადია. ეს თვალსაჩინო გახდა ვერცხლისფერი ნაძვის მაგალითითაც, რომელი პროექტი იტალიელებისთვის განხორციელდა რომის სიახლოვეს. ასეთი მცენარე ადრინდელთან შედარებით გაცილებით მძლავრი ვარჯით გამოირჩევა, შთანთქავს დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგს და გამოჰყოფს მეტი ოდენობის ჟანგბადს. ეს კი მიმანიშნებელია იმისა, რომ დედამიწის მცენარეულ სამყაროს ბიორაგის მეშვეობით შესწევს ათწლეულობით დაკარგული ატმოსფეროს სრულფასოვანი აღდგენა. ამისთანა შემთხვევაში დღის წესრიგიდან მოიხსნება დათბობის საშიშროებაც, რომელიც იწვევს პოლუსებზე ყინულის მასის ინტენსიურ დნობს და ჩვენს პლანეტას მორიგი წარღვნიკენ მიაქანებს. ბიორაგი გვათავისუფლებს იმ უტოპიური პროფილაქტიკისგანაც, რასაც ტრილიონების შეწირვა შეუძლია დედამიწის ფინანსური წყაროებიდან; შედეგი კი არავინ უწყის რა სავალალო შეიძლება მივიღოთ: **საქმე ეხება ცის თაღზე ხელოვნური ხომალდების წრიულად განლაგების პროექტს, რომელზეც სარკეები დამონტაჟდება მზის სხივების ასარეკლავად, და ამ გზით თითქოს დედამიწაზე სითბო შემცირდება.**

აი, გახურებული თავების ავადმყოფური თერაპია. ვაი-ოლიგარქია დაავადებულია საკუთარი სიმდიდრის მანიაკური გამრავლებისა და შენარჩუნების სინდრომით.

ისინი ვერაფრით ელევიან თავიანთ მილიარდებს, როცა

შესაძლოა ყველაფერი დაკარგონ კარზე მომდგარი გლობალური კატასტროფით; რომელიც კვლავაც და კვლავაც მათი ინსპირირებულია, ლოკალური თუ მასშტაბური ომებით, საზოგადოებრივი თუ შინაგანი აშლილობებით.

როგორ მოვიქცეთ ახლა?!

უმრავლესობა, პლებსი გამოთაყვანებულია უკვე **ალან დალასის** დაქადნებული დოქტრინის კვალობაზე — მომსპარია ნარკომანიით, ალკოჰოლიზმით, ნიკოტინით, აღვირახსნილი სექსით ადრეული ასაკიდან.

ხსნა სად შეიძლება იყოს?

პირველ რიგში ვაი-ოლიგარქების მადას ალიკაპი უნდა ამოედოს ჭეშმარიტი ოლიგარქების სასარგებლოდ: უნდა შეაწყვეტინო კაცობრიული ზეწოლით ატომური აფეთქებები დედამიწის ქერქსა და ატმოსფეროში; შემდგომ ფორსირებულად უნდა განხორციელდეს ჩვენს პლანეტაზე არსებული **15 250** ქობინის დემონტაჟი, რომელსაც, სულ ცოტა 150-ჯერ შეუძლია ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის იავარქნა. კაცობრიობამ საერთო ძალისხმევით უნდა შეძლოს პლანეტარული ბიუჯეტის ფორმირება, სადაც **სამხედრო კომპლექსის დამანგრეველი ძალისგან** გამოთავისუფლებული თანხები მოხმარდება ეკოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს.

საქართველოში ფსტა (ბუსტული), სამეურნეო მიზნით დღემდე ფართოდ არ გამოიყენებოდა. ის ყველაზე ძვირად ღირებული კაკლოვანი კულტურაა. აშენებენ სამეურნეო მიზნით, ასევე კარგია ნიადაგის გაუდაბნოებისა და ეროზიის წინააღმდეგ. ეს მცენარე პროდუქტიულობას სამასი-ოთხასი წლის განმავლობაში ინარჩუნებს. ფსტა უძლებს მინუს 30 გრადუს ყინვას და პლუს 50 გრადუს სიცხეს. ერთი ხე 20 წლის ასაკში 30 კილოგრამ ნაყოფს ისხამს. ახლა წარმოიდგინეთ, ერთ ჰექტარზე გაშენებული 400 ნერგი 20 წლის ასაკში რა რაოდენობის მოსავალს მოგვცემს: დაახლოებით **360 000** ლარს ჰექტარზე. მაგრამ ჩვენ ფსტას განსხვავებულ ფინქციას ვანიჭებთ, შესაძლოა ითქვას — კაცობრიულ მნიშვნელობას. ეს ყველაფერი უკავშირდება დედამიწაზე არსებულ მილიონობით ჰექტარ უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს, და, დიახაც, ფსტას მეშვეობით მათ გამიწიანებას, კაცობრიობის სამსახურში ჩაყენებას.

ამ კუთხით დღემდე ქმედითი ნაბიჯი არავის გადაუდგამს. სწორედ აქ არის ჭეშმარიტი ოლიგარქიის ძალისხმევა აუცილებელი, რათა მან განსაკუთრებული როლი ითამაშოს დედამიწის გადარჩენაში. საილუსტრაციოდ, პირველ რიგში დავით გარეჯის უდაბნოს მოვლა-პატრონობა იკმარებს. აქ ფსტას სამეურნეო მნიშვნელობით კარგა ხანია აშენებს ერთი ირანელი მეწარმე. მაგრამ ჩვენთვის ფსტას პერსპექტივები, როგორც ვახსენეთ, გაცილებით შორს მიმავალია. თუკი მისი თესლი ბიორაგით დამუშავდება, ამისთანა შენმთხვევაში, ფსტას ისედაც ბუნებრივად მომადლებული მძლავრი ფესვთა სისტემა (დაახლოებით 30-35 მეტრი), უორმაგდება, უსამმაგდება და წარმოუდგენელ სიცოცხლისუნარიანობას იძენს. ამისთანა მცენარეს უკვე თავისუფლად შეუძლია ნახევარუდაბნოსა თუ უდაბნოს გამიწიანების პრობლემასთან შეჭიდება, ვინაიდან 80-90 მეტრის სიღრმიდან იგი ადვილად შეძლებს მის წიაღში არსებული წყლის მარაგის ზედაპირზე ამოტუმბვას და საბოლოოდ ხრიოკი გარემოს ბაღნარად გადაქცევას.

დღეების წინათ დუშეთის მუნიციპალიტეტის რეგიონში (გამგებელი **მანანა ნარიმან**იძე) ბაზალეთის ტბის ხელმარცხნივ, **საკრამულის** (შარმაზანა) ტერიტორიაზე ბიორაგით გაჯერებულ **წითელი დოლის** პურის ხოდაბუნში მოვხვდი. ფაქტობრივად უნაყოფო მიწაზე, სადაც ადრე მოსავალი მისდღემში არ მოწეულა, ერთმა ენთუზიასტმა პიროვნებამ, ადრეულ წლებში სუხიშვილების ანსამბლის მოცეკვავემ, აწ ორი შვილის დედამ და ხუთი შვილიშვილის ბებიამ, **მარიამ კიკაძემ** სამ ჰექტარზე გააშენა ეს კულტურა. **წითელი დოლი** ენდემური იშვიათი ჯიშია. კილოგრამი 3,5 ლარი ღირს. მისი საჰექტარო მოსავალი 1,2 ტონაა, გასაყიდად არც ემეტება, სათესლედ აქვს გამიზნული, სელექციისათვის. ჯერ მოსავალი არც კი მოუწევია და ხორბლის შეძენის ორი მსურველი უკვე გამოუჩნდა. თოთოეული ნახევარ-ნახევარ ტონა ხორბალს ითხოვს. მიდი და ბიორაგის სასწაულს ნუ ერწმუნები! ლამის ხრიოკ ადგილას, უსასუქოდ, სამ ჰექტარზე სამი ტონის ნაცვლად მოწეულია **18 ტონა წითელი დოლი!** აქედან ერთი ტონა უკვე შეიძინა მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ტოკიოს 1964 წლის თამაშების ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიოს 4-გზის ჩემპიონმა, ყოფილმა პარლამენტარმა და უნივერსალურმა ადამიანმა, ბატომ **რომან რურუამ** თავის სავარგულებზე დასათესად. წარმატება, ზურგის ქარი მას და მისთანებს!

რამაზ გახოკიძე, მარიამ კიკაძე, გური ოტობაია

წითელი დოლის ხოდაბუნში, პანტა მსხლის ძირას გადავიღებთ სამახსოვრო ფოტოს ქალბატონ **მარიამ კიკაძესთან** და ბიორაგის შემოქმედ, აკადემიკოს **რამაზ გახოკიძესთან** ერთად (სხვათა შორის ამ წოდებაზე 1986 წელს წარდგენილს მხოლოდ 36 წლის შემდეგ მიენიჭება ეს მაღალი წოდება). თავადაც კარგად შენიშნავთ, გაბეხრეკებულ პანტა მსხალს ძლივს უდგას სული. სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ კენწეროებს შერჩენია, ფითრი მისძალებია და გასაცოდავებულა ჩვენს სამშობლოსავით. 100 მილიგრამი ბიორაგით გაჯერებული ათიოდე ლიტრი წყალია საჭირო, რომ ბედასლმა ხემ ახალი სიცოცხლე შეიძინოს, ავადმყოფობის ჭირ-ვარამი მხრებიდან გადაიბერტყოს და იქაურობა ოდინდელი ხალისით აავსოს.

აგვისტოს დამდეგს საპატრიარქოს ძალისხმევით მარტვილის რაიონის სალხინოს თემში 5000 ბზის ნერგი დამუშავდა ბიორაგის ხსნარით დადიანების ისტორიულ სამოსახლოში. ამ საქმეს კი ბიორაგის იშვიათი მცოდნე-პრაქტიკოსი, ლეკუხონელი აგრონომი **გენადი ცაავა** ხელმძღვანელობს. დღემდე გაუგონარი, 22 ტონა სიმინდი მოჰყავს ჰექტარიდან. იგივე სიტუაციაა სხვა კულტურებთანაც შაქრის ჭარხალია იგი, კომბოსტო თუ ვენახი. მებოცვრეობამ ბიორაგის წყალობით თვალში გამოიხედა, ასევეა მეღორეობაც, თვით ცხენებშიც გასაოცარი შედეგია, ლამის ჯაგლაგებმა, ბიორაგით მკურნალობის შემდეგ დოღში საპრიზო ადგილები არავის დაუთმეს.

გენადი (გენო) ცაავა

პროფესორ **ჰაუსენის** (ჟენევა) გამოთვლით თუ ხორბლის 1 მარცვალი მოგვცემს 100 მარცვალს, ამისთანა შემთხვევაში 10 წელიწადში მისგან წარმოშობილი მამითადი სრულიად დედამიწის მოსახლეობას უპრობლემოდ გამოკვებვას. ხალხნო და ჯაამათნო, ბიორაგით დამუშავებული ხორბლის ჯიში „ალაზნის ველის“ 1 მარცვლისგან უკვე მიღებულია 8250 მარცვალი. სხვა რა ქნას ბიორაგმა?! იგი სპობს კიბოს, ინფექციურ ავადმყოფობებს, კოვიდს, პეპელას, მავნე მწერებს, შიმშილს, აჯანსაღებს გამოფიტულ მიწას, ასუფთავებს გაბინძურებულ წყალს და ჰაერს, სავარგულად გარდაქმნის უდაბნოებს და ნახევარუდაბნოებს. ურწმუნო თომებს ერთიღა დაგვრჩენია — ქრისტეს ნაჭრილობევ ფერდში თითების გაყრა, რათა მისი არსებობა ბილოს და ბოლოს ვაღიაროთ!

ეროვნულ მისიად მიმიჩნევია შეკვეთილის დენდროლოგიურ პარკისათვის გვიმრის ხეების იშვიათი ეგზემპლარების ჩამოტანა ახალი ზელანდიიდან. ეს ქმედება ქართული ეკოსისტემის რგოლიდან ამოვარდნილი ხე-გვიმრის რეანიმაციაა ფაქტობრივად. ჩვენი წინაპრები ხომ მითოლოგიური გადმოცემით გვიმრის ხეებზე ლოცულობდნენ, ეთაყვანებოდნენ, როგორც ბუნების იშვიათ ეგზემპლარებს, მშვენიერების სიმბოლოს?! დიახ, ჭეშმარიტი სამამულო და მსოფლიო ოლიგარქიის როლი ბიორაგის დამკვიდრების ასპექტით განუზომელია, ამ შემთხვევაში იგი გაცდება ეროვნულ, მერკანტილურ ჩარჩოებს, ზოგადკაცობრიული თვალსაწიერიდან მიყურადებს მოვლენებს. მათი ერთ-ერთი, თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბატონ **ბიძინა ივანიშვილის** აღზევებას მერე უფრო ცხადლივ ნახავს პლანეტარული მსოფლიო: საქართველოსთვის რუსეთ-უკრაინის ომის თავიდან აცილებამ ამ პიროვნებას ჩვენს სინამდვილეში ხომ ზეზეურად დაუმკვიდრა მარადიული სუფევის გარანტიები, როგორც უფლის მიერ შექმნილი სიცოცხლის უმაგალითო ქომაგას, ხოლო ბიორაგის მიზანმიმართული მეოხება საკაცობრიო მნიშვნელობის გვირგვინითაც დადაფნავს შეკვეთილის სულისჩამდგმელს, როცა სწორუპოვარ მეწალკოტედ მოევლენება სრულიად დედამიწის დენდროლოგიურ სავანეს.

გური ოტობაია
მწერალი

მიხეილ სააკაშვილის მორიგი აფერა კოდური სახელწოდებით – „ჭუჭუ“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაზე უარს რომ ამბობს და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კავშირს წყვეტს, ამის თაობაზე უკვე იცით, ხომ? რა თქმა უნდა, გეცოდინებათ, თქვენ რა გამოგეპარებათ? მით უფრო, როცა ასეთ „სკანდალნი“ ამბავს ძალზედ ცნობილი „ადუკანტი“ ვალერი გელბახიანი გვატყობინებს. ისაო, ამას წინებზე გამოვიდა და... მიხეილ სააკაშვილისგან მხოლოდ ხერხემალი და ჭუჭუღაა დარჩენილიო. ვალერას ეხერხება რეალობაში მეტაფორული ხერხების გამოყენება, თქვენ გგონიათ, მიხეილისგან მართლა მხოლოდ ჭუჭუღაა დარჩენილი? არა, ამხელა ჩოილარისგან, წესით, კუდუსუნიც უნდა დარჩენილიყო, მაგრამ ესეც რომ ახსენოს, სიტუაცია „გალაითდება“, შავნოდარას სტილში აღარ გამოჩნდება.

„ადუკანტმა“ გელბახიანმა დიდი გულმოდგინებით ისიც განაცხადა, ყოფილმა პრეზიდენტმა პოლიტიკიდან გაცლა იმიტომ გადაწყვიტა, საკუთარი სიცოცხლე რომ შეინარჩუნოსო. ყველა საკითხი მოიხსნაო, ახლა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დგასო, რა დროს პოლიტიკააო? მანამ, სანამ გელბახიანი ამას იტყოდა, მიხეილის ვაჟი (ედუარდი) გამოიყვანეს „ჭუტლექსვიზიით“ და ალაპარაკეს, როგორ ავადაა მამიკო, როგორ აღარ აინტერესებს ქართული პოლიტიკა, როგორ აღარ უყურებს ქართულ არხებს, როგორ აქვს გადართული ტელევიზორი უკრაინულ არხებზე და ასე შემდეგ. საზოგადოების მოაზროვნე ნაწილი უმალვე მიხვდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა მორიგი აფიორა დაიწყო. არ დაგავიწყდეთ, მანამდე ადვოკატად ყოფილი „ქოცი“ დაიყენა - შალვა ხაჭაპურიძე, რომელიც მაჟორიტარობის კანდიდატად თეთრ წყაროში გაამწესეს, მაგრამ ვერ ივარგა, წაგო, ჩაფლავდა. მიუხედავად ამისა, შემდგომშიც „ქართული ოცნების“ მომხრედ რჩებოდა, თითქოს „ნაცებს“ ებრძოდა, ახლა კი უცებ სააკაშვილის დამცველად მოგვევლინა. აი, ამიტომ არასოდეს არ უნდა თქვა - არასოდეს, არც თავი უნდა დადო ვინმეზე, მე ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ შალვა ხაჭაპურიძის „განაცებას“ ვერ წარმოვიდგენდი. რაღა შალვა, ვალერი გელბახიანიც ეგრე არ არი? წინა ხელისუფლების დროს, 2007 წლის შემდეგ დასაჭერად დასდევდნენ, ხან სად იყო გაქცეული, ხან სად იმალებოდა, ხან ვისთან აფარებდა თავს, მოვიდა ბიძინა ივანიშვილი, დაბრუნდა, მოიკეთა, მელოტ თავზე ხელი გადაისვა და... ჰეეე, დაუწყო იმავე ივანიშვილს გინება. ხაჭაპურიძეს ჯერ ბიძინასთვის არ შეუგინებია, უბრალოდ მიხოს გამოშვებასა ლამობს, მაგრამ ამ ეტაპზე არ გამოსდის, ექსპერტების დასკვნას ვერ აკოწიწებს, „ემპათიის“ დირექტორი მარიამ ჯიშკარიანი ვერ უწერს, გამოცდილება და პროფესიონალიზმი არ ჰყოფნის, ერთ ხანობას მოაჭორეს, მალე ამერიკელი ექსპერტები ჩამოვლენ და სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას შეისწავლიანო, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც ამათი აფიორის ერთი ნაწილია, ჩამომსვლელები აქამდე ჩამოვიდოდნენ. თუმცა, შემდეგ დღეებში გაირკვა, რამდენიმე ტიპი მართლაც ჩამოვიდა, ჯანდაცვის სამინისტრომ საბუთები მოსთხოვა, ბოლო 5 წლის განმავლობაში სად მუშაობდით, ცნობები წარმოადგინეთო. ჯიშკარიანმა ქოშები უკუღმა ყარა, ეგ ხომ კომუნისტური მეთოდიაო? ცნობას სამუშაო ადგილიდან ვინღა ითხოვსო? ესე იგი, აშშ-დან სანტექნიკოსები რომ ჩამოვიდნენ და გვითხრან, ექსპერტები გახლავართო, უნდა დავუჯეროთ, ხომ? მაგალითად, მეფუტკრეებმა რომ დაწერონ, მიხა გაუშვით სამკურნალოდო, უნდა გავუშვათ, ხომ? ისე, კარგადაა გამოსაძიებელი ამ ე.წ. ექსპერტების ავანი და ჩავანი, შეიძლება საერთოდაც არაფერი აკავშირებთ მედიცინასთან. როგორც ინკოგნიტო წყარო მარწმუნებს, ხაჭაპურიძე გაჭედილია, ხელმოსაჭიდი არ აქვს, რომ სააკაშვილს სასჯელი გადაუვადოს და სამკურნალოდ ბადენ-ბადენში გააგზავნოს. ვნახოთ, რა იქნება, დაველოდოთ.

ახლა კი იმაზე, რატომაც წამოვიწყე ამ თემაზე წერა... მაშინ, როცა სააკაშვილის ადვოკატები და „ემპათიის“ ე.წ. ექსპერტები ათასნაირ სისულელეებს ლაპარაკობენ, თვით სააკაშვილი თავის მხედართმთავრულ ნიჭს ანვითარებს და უკრაინაში, ფრონტის ხაზზე არსებულ ვითარებას აანალიზებს:



„დღეისათვის უკვე 1800 ტანკი გავანადგურეთ. საშუალოდ, დღეში, 5 ტანკს ვანადგურებთ. ჩემი აზრით, საჭიროა 3000-3500 ტანკის განადგურება, რათა შეტევითი პოტენციალი მთლიანად გაუქრეთ“.

ესე იგიო... 1800 რუსული ტანკი გავანადგურეთო (კიდევ კარგი, 18000 არ თქვა), საიდან ითვლის, რანაირად ითვლის, გაუგებარია. მისი დავთრების მიხედვით, უკრაინელებმა კი გაუნადგურეს რუსებს ტანკები, მაგრამ რუსებმა, ფაქტობრივად, ვერაფერი ქნეს, ერთი ტანკიც ვერ გამოიყვანეს მწყობრიდან. არა, ჩვენ კი ვხედავთ, ვინ არის განადგურებული, გადაბუგული და აღგვილი მიწის პირისაგან, მაგრამ ეს არ ითვლება, ჩვენ უნდა დავუჯეროთ აღქმას, და არა რეალობას. როგორც პრეზიდენტ ზელენსკის მრჩეველი ოლექს არესტოვიჩი ამბობს, რუსეთს თურმე ბომბები უთავდება და მალე ომს კრახით დაასრულებს. ამ დროს ქართველების სიძე, რუსი ჟურნალისტი მატვეი განაპოლსკი აცხადებს, რუსეთი უკრაინის მიმართულებით დღეში 1000 ბომბს ისვრის, თანაც 1964 წელს გამოშვებულსო. წარმოგიდგენიათ? თუკი ამ ეტაპზე პუტინი 1964 წლის მარაგს იშორებს, შემდეგი წლების მარაგებზე როდისღა გადავა? ან კი გუმანით მაინც ხვდებით, ეს მარაგები რამდენი იქნება?

აქ დიდი „მხედართმთავარი“ მიხეილ სააკაშვილი თავისებურად ანგარიშობს, თუ ეს ტემპი შენარჩუნდა, 240-300 დღე იქნება საჭირო იმისთვის, რომ რუსეთი დამარცხდესო. თან დასძენს, ასე რომ, ყოველი დღე მოწინააღმდეგისთვის ცუდად მუშაობსო.

„მხედართმთავარი“ განაგრძობს: „ხერსონის შეტევის დაანონსების მერე დიდი შეტევითი პოტენციალი გადმოისროლეს ხერსონის მხარეს და 25 000 კაცამდე მოაგროვეს. არის ინფორმაცია, რომ შეიძლება შეუტიონ ნიკოლაევს, მე ეგ სიგიჟე მგონია - ძალიან რთული ამოცანა იქნება და ძალიან მძიმე ფასის გადახდა მოუწევთ, მაინც ძალიან ცოტა შანსია წარმატების. მე მომწონს, რომ სამხედრო ხელმძღვანელობა არ ჩქარობს, ამიტომ ცოტა შეცდომას უშვებს ბრძოლის ველზე“.

იცის კაცმა საკუთარი გამოცდილებით, რამდენი დრო სჭირდება რუსეთის განადგურებას. ნაპოლეონ ბონაპარტი 6 თვე (1812 წელს) ებრძოდა რუსეთს და შინ ტალახში ამოგანგლული დაბრუნდა, ადოლფ ჰიტლერის ჯარებმა 5 წელიწადი ირბინეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცეცხლით და მახვილით, მაგრამ ბოლოს იგივე ადოლფი იძულებული გახდა, გამოქვაბულში ჩასულიყო და... როგორც სოსო გოგაშვილის მეუღლე იტყოდა, პისტოლეტისთვის პირში ტყვია მიეცა. ერთადერთი, ვინც რუსებს ომი 1 დღეში მოუგო, ეს გახლდათ ჩვენი „მხედართმთავარი“ მიხა სააკაშვილი - დილით დაიწყო და საღამოს 5 საათზე დაამთავრა. არ გჯერათ? თუ არ გჯერათ, მაშინ ნახეთ 2008 წლის 12 აგვისტოს ჩანაწერები, იქ მკაფიოდ ჩანს, როგორ ზეიმობენ ქართველები რუსთაველზე დიად გამარჯვებას. ამაზე მოგვიანებით ჰოლივუდში ფილმიც კი გადაიღეს, კობა ნაყოფიას 20 მილიონი დოლარი გადაახდევინეს, შემდეგ პრეზენტაციაც გამართეს და იგივე კობა ნაყოფია გვერდით შერონ სტოუნს მოუსვეს. რაღა დაგიმალოთ და... ეს გახლდათ კლასიკური ნიმუში იმისა, თუ როგორ არ წყვეტს ფული ყველაფერს - როდესაც ის ხარ, ვინც ხარ, რატომ უნდა შემოუჯდე გვერდით ისეთ კინოვარსკვლავს, როგორიც შერონ სტოუნია, ვერ უნდა მიხვდე, რომ კომიკური სურათი დაიხატება? თუ ვერ მიხვდები, დუპლეტი ხარ!

სხვათა შორის, გარკვეულ წრეებში ამბობენ, რაც ენდი გარსიამ მიხა სააკაშვილი განასახიერა („აგვისტოს 5 დღე“), მას მერე ერთი ხეირიანი როლი აღარ ღირსებია, ჰოლივუდში სახელი გაიტეხა, მისი ავტორიტეტი საერთოდ გაპარტახდა. ენდი გარსიას შევეშვათ, მაგას იმდენი აქვს ნაშოვნი, არ დაიკარგება, თავის ცხოვრებას მიხედავს, ჩვენ კი ისევ ჩვენი ნამხედართმთავრალის „მსჯელობანს“ დავუბრუნდეთ, რომელიც „კლეტკაში“ ზის, 17 დაავადება (აქამდე 14 იყო, ამ დღეებში 3 დაემატა) აწუხებს და მაინც საკუთარ სამშობლოზე ფიქრობს. როგორც ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, თურმე ადამიანის ტვინის ხვეულებში არის ერთი ჭანჭიკი სახელწოდებით „მამულიშვილობა“, თუ ეს ჭანჭიკი კარგადაა მოჭერილი, 17 კი არა, 50 დაავადებაც რომ გაწუხებდეს, სამშობლოზე მაინც იფიქრებ. თუმცა აქ ერთიც უნდა ვაღიაროთ, ბატონ მიხას ჭანჭიკი ძალზედ უცნაურად აქვს მოჭერილი, თავის სამშობლოდ ხან საქართველო მიაჩნია, ხან კიდე უკრაინა, იყო დრო, ჰოლანდია და აშშ-იც მიაჩნდა, მაგრამ ახლა უკრაინაზე „მუშაობს“.

ნახეთ, ტიპი ზუსტად ანგარიშობს, რუსების დასამარცხებლად მაქსიმუმ 300 დღეა საჭიროო. 1 წელიწადიც არ გამოდის. თან გადმოცემის სტილიც როგორი აქვს? ხერსონის შეტევის დაანონსების მერე დიდი შეტევითი პოტენციალი გადმოისროლესო - გეგონება, საქართველოში კი არ იმყოფება ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, იქ არი, ხერსონში და ფრონტის ხაზზე უმთავრეს შეტევას ხელმძღვანელობს. აი, ეს არი აღქმა - შეიძლება იყო კამჩატკაზე, მაგრამ ამავე დროს საბრძოლო მოქმედებებს უხელმძღვანელო ხერსონში, თუნდაც კიევში, თუნდაც ქაბულში, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, კარგად გქონდეს განვითარებული აღქმის უნარი!

რა არის საჭირო სრული გამარჯვებისთვის? რას გვეუბნება ამის თაობაზე დიდი „მხედართმთავარი“? სრული გამარჯვებისთვის უკრაინას ყველაზე პესიმისტური სცენარით 10 თვე დასჭირდება:

„სერიოზული დისონანსი შეიტანა „ჰაიმარსებმა“ ბრძოლის ველზე - ყოველდღე საშუალოდ 5 საწყობს და 1-2 მართვის პუნქტს ანადგურებს „ჰაიმარსი“. დახმარების ახალ პაკეტში ძალიან მნიშვნელოვანი რაკეტები გადმოგვცეს ამერიკელებმა რუსების ანტისაჰაერო სისტემების გასანადგურებლად და თვითმფრინავების ჩამოსაგდებად“.

აჰა, აკი, გეუბნებოდით? ტიპი საქართველოშია, ერთ-ერთი კლინიკის საწოლს ვერ ააგლიჯეს და ამავე დროს ამერიკელებმა მნიშვნელოვანი რაკეტები გადასცეს რუსების ანტისაჰაერო სისტემების გასანადგურებლად. ესეც წევს და ანადგურებს, მეტი რა საქმე აქვს? აცალეთ, 10 თვე სჭირდება რუსეთის სრული განადგურებისთვის.

დაბოლოს,

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წამოწოლილი მხედართმთავარი „სავანტყოფოდან“ ყოველთვის ოპტიმისტურ პროგნოზებს გვიგზავნის და თავადაც თავდაუზოგავად იბრძვის, პერიოდულად მაინც გაახსენდება ხოლმე, რომ „კლეტკაშია“ და ასეთ განცხადებებს აქვეყნებს:

„ჩემი გული უკრაინაშია. გასაოცარია უკრაინელი ხალხის ერთიანობა, ჯარისკაცების გმირობა და პრეზიდენტის ლიდერობა. მინდა, უკრაინა იყოს თავისუფალი და მსურს, უშუალოდ მონაწილეობა მივიღო ბრძოლაში. დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინელები თავისიანს არ მიატოვებენ და ვემახსოვრები“.

ნახეთ, თავიდან წაიპატრიოტა, უკრაინელთა გმირობანიც მოიწონა, მაგრამ ბოლოს მაინც კოჭი სათავისოდ გააგორა - დარწმუნებული ვარ, უკრაინელები თავისიანს არ მიატოვებენ, ვემახსოვრები და ალბათ წამიყვანენო.

წაყვანისა რა მოგახსენოთ... ამას ურჩევნია, ისევ მხედართმთავრობას მიაწვეს და აშშ-დან გამოგზავნილი იარაღი ჩაიბაროს.

ისე, ცხონებული ნაპოლეონიც ზუსტად ეგეთ დღეში იყო, როცა წმინდა ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, ერთ ხანობას მიღების დღეებიც კი დააწესა და თათბირებსაც ატარებდა საკუთარ თავთან. როგორც ჩანს, ძალიან მძიმეა დიდი მხედართმთავრების ცხოვრება, უფრო მეტად კი ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

რიჩარდ ბლეიკი: უკრაინაში ომი ფეხბურთის მატჩს დაემსგავსა

ზაფხული, ტრადიციულად, მსოფლიოს პოლიტიკოსების დასვენების პერიოდად ითვლება. ამის მიუხედავად, არსებობს გამონაკლისებიც. თავდაპირველად აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სპიკერის ნენსი პელოსის ვიზიტი ტაივანში. ამერიკულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ნენსი პელოსის ტაივანში ვიზიტის ერთ-ერთი პირველი წინააღმდეგი ჩინეთის მთავრობის მეთაური სი ძინპინი იყო, რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტთან ჯო ბაიდენთან ორსაათნახევრიანი სასტელეფონო საუბრისას რამდენჯერმე კატეგორიულად მოუწოდა, არ ჩასულიყო სპიკერი ტაივანში. თუმცა უშედეგოდ. პელოსი კუნძულზე ჩავიდა, რითიც საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია. აშშ-ში გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა სი ძინპინს ვერ მისცა გარანტია და პირობა პელოსის ვიზიტის აკრძალვის შესახებ. თუმცა ცნობილია, რომ ადრეულ გაზაფხულზე ამერიკელმა პოლიტიკოსებმა მოახერხეს ტაივანში პელოსის ვიზიტის შეფერხება, ახლა კი ეს უკვე ვეღარ შეძლეს, ამიტომაც ბაიდენმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და გვერდზე გადგა.

დღემდე აფასებენ მსოფლიოს წამყვანი და ცნობილი პოლიტიკოსები ტაივანში პელოსის ვიზიტის შედეგებს. მათი ანალიზით, რეზულტატი სავალალო აღმოჩნდა — ჩინეთი განსაკუთრებით მჭიდროდ დაუახლოვდა რუსეთს, რაც, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს აშშ-ის პოლიტიკაზე და ეკონომიკაზე. ათწლეულების წინ და ახლო წარსულში აფრთხილებდა მსოფლიოს უხუცესი პოლიტიკოსი ჰენრი კისინჯერი, რათა არ დაეშვათ ჩინეთისა და რუსეთის დაახლოება, მაგრამ... პელოსის ვიზიტის შემდეგ ჩინეთმა კუნძულს შეუწყვიტა სპეციალური ქვიშის მიწოდება, რომლითაც ტაივანელები გამტარ და ნახევარგამტარ ჩიპებს ამზადებენ. პელოსის ტაივანში ვიზიტი ვან ი-მ, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ასიან-ის (აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნების) სამიტზე შეაფასა, როგორც მათი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფა. აღსანიშნავია, რომ სამიტზე იმყოფებოდა ევროჩინოვნიკი ჟოზეპ ბორელი, მაგრამ მისი პერსონით და იქ ყოფნით არავინ დაინტერესებულა, მარტოდმარტო, ეულად დადიოდა კულისებში.

ჩინეთში ყურადღებით აკვირდებიან რეგიონში განვითარებულ მოვლენებს.. პელოსის ვიზიტის შემდეგ ჩინეთმა დაიწყო რეგიონში საბრძოლო წვრთნები. ტაივანის კუნძული, ფაქტობრივად, ალყაში მოაქციეს. აშშ-ის ავიამზიდი „რონალდ რეიგანი“ ჩინეთის ზღვის აკვატორიიდან, უსაფრთხოებიდან გამომდინარე, იაპონიაში გადაამისამართეს. აღსანიშნავია ერთი გარემოება — სამხრეთ კორეის ხელისუფლების პირველმა პირებმა თავი აარიდეს ნენსი პელოსთან პირად შეხვედრას. ფაქტობრივად, აშშ-ის კონგრესის სპიკერს მოკავშირე ქვეყანაში უჩვეულო ცივი დახვედრა მოუწყეს, რათა ჩრდილოეთ კორეის ლიდერი არ გაენაწყენებინათ.

ვითარება აშშ-რუსეთს შორის წლებია გამწვავებულია. დაპირისპირებამ ახლა ზღვარს მიაღწია, როდესაც რუსეთმა უარი განუცხადა ამერიკელ ექსპერტებს ბირთვული იარაღის ინსპექტირებაზე დაშვებაზე. მსგავსი ფაქტი გაგანია „ცივი ომის“ დროსაც არ დაფიქსირებულა. რითი დასრულდება ახლანდელი პოლიტიკური დაპირისპირება ორ ბირთვულ ქვეყანას შორის, ახლო მომავალში გამოჩნდება. პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენელი ჯონ კირბი ამართლებს ნენსი პელოსისა და აშშ-ის სენატორების ვიზიტს ტაივანში და მოუწოდებს ჩინეთის მხარეს, ნუ გაამწვავებენ პოლიტიკურ სიტუაციას. იგივე კირბის განცხადებით, აშშ მხოლოდ ერთ ჩინეთს აღიარებს, დამოუკიდებელ ტაივანს — არა.

უცნაურად განვითარდა მოვლენები კამბოჯაში, სადაც ასიან-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი გაიმართა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი ყოველნაირად თავს არიდებდა რუს და ჩინელ კოლეგებთან შეხვედრას. თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ბლინკენი თავად დაუკავშირდა ტელეფონით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს და ესაუბრა. დიალოგის დეტალები, თავისთავად, უცნობია. კამბოჯაში ვან ი-მ გააკეთა მკვეთრი განცხადება: „...ჩინეთი არავის მისცემს უფლებას დაამცირონ, როგორც 200 წლის წინ“.

უნიკალური შემთხვევა მოხდა აშშ-ის ისტორიაში — მარალაგაში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა გაჩხრიკეს 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის საცხოვრებელი. გამოცემა „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, სამართალდამცველები ეძებდნენ საიდუმლო საბუთებს, რომლებიც ტრამპმა თეთრი სახლიდან წაიღო. აგენტები, გავრცელებული ინფორმაციით, უხეშად იქცეოდნენ, გაჩრიკეს დონალდის მეუღლის, მელანია ტრამპის საძინებელიც. მოგვიანებით გაირკვა, დონალდ ტრამპი ყველა წესის დაცვით ინახავდა საბუთებს. მომხდარმა აღაშფოთა რესპუბლიკური პარტიის წევრები. მათ გაიხსენეს ჰილარი კლინტონთან დაკავშირებული სკანდალი — სახელმწიფო მდივნად მოღვაწეობისას იგი პირადი კომპიუტერიდან აწარმოებდა საიდუმლო, სახელმწიფო მნიშვნელობის მიმოწერას. თუმცა ჰილარი არც გამოკითხვაზე დაუბარებიათ და, მით უფრო, არც ჩხრეკა ჩაუტარებიათ მის სახლში.

რესპუბლიკელები კატეგორიულად ითხოვენ, შეისწავლონ ჰანტერ ბაიდენის ნოუთბუკის მასალები, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების წინ, 2020 წელს შემთხვევით იპოვეს. „ფეისბუკის“ დამფუძნებლისა და მფლობელის ცუკერბერგის ახლანდელი განცხადებით, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ სასტიკად აუკრძალა ნოუთბუკში ნაპოვნი მასალების გამოქვეყნება. დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერები ყოველნაირად ცდილობენ მოიპოვონ დონალდ ტრამპის მაკომპრომეტირებელი მასალები, რათა არ მისცენ საშუალება, მონაწილეობა მიიღოს 2024 წლის არჩევნებში. წინასწარი მონაცემებით, დემოკრატებმა შესაძლოა ფიასკო განიცადონ შემოდგომით შუალედურ არჩევნებში. პოლიტოლოგები პროგნოზირებენ, რომ თუ რესპუბლიკელები სენატსა და კონგრესში უმრავლესობას მოიპოვებენ, აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მკვეთრად შეიცვლება. ამერიკელი პოლიტოლოგები ასევე შიშობენ, ქვეყანაში არ დაიწყოს მეორე სამოქალაქო ომი, რისი მიზეზიც შერყეული ეკონომიკა და არასწორად გატარებული პოლიტიკაა.

გასულ კვირას ხუთი ამერიკელი სენატორი კვლავ ესტუმრა ტაივანს. ჩინელები ჯერ მხოლოდ აკვირდებიან და სამხედრო წვრთნებით პასუხობენ. სენატორმა მარშა ბლეკბერნმა კოლეგებს მოუწოდა ტაივანს გაუზარდონ შეიარაღება. ოფიციალური პეკინის განცხადებით: „...ჩინეთს აშშ-სთან ომი არ უნდა, მაგრამ თუ საჭირო გახდება, დავიცავთ ჩვენს სუვერენიტეტს“. ჰენრი კისინჯერის თქმით, „აშშ ცხელი ომის ზღვარზეა ჩინეთთან და რუსეთთან, რაც კარგს არაფერს უქადის მსოფლიოს“.

ექვს თვეზე მეტია, რაც უკრაინაში საომარი ვითარებაა. რუსეთი სპეციალურ სამხედრო ოპერაციად მიიჩნევს საბრძოლო მოქმედებებს, მაგრამ ყოველდღიურად წინ მიიწევს. გაუგებარია უკრაინის ხელისუფლების პოზიცია. დიდძალი დანაკარგების მიუხედავად, საბრძოლო მომედებების შეწყვეტასა და მოლაპარაკებაზე არც ფიქრობენ. მარტის თვის დასაწყისში თურქეთის ქალაქ სტამბოლში უკრაინისა და რუსეთის დელეგაციებმა თურქეთის შუამავლობით გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს, რომლებიც ვერ განახორციელეს. პირობების დარღვევაში მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ. აღსანიშნავია, რომ მარტში საუბარი მხოლოდ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დამოუკიდებლობას ეხებოდა, ჩაშლილი მოლაპარაკების შემდეგ კი რუსეთი უკრაინისგან მხოლოდ უპირობო კაპიტულაციას ითხოვს და სხვა ნებისმიერ საკითხზე მოლაპარაკებაზე უარს ამბობს.

ნატოს წევრი ქვეყნების მიერ დიდძალი შეიარაღების მიწოდების მიუხედავად, უკრაინელებმა ბრძოლის ველზე რაიმე წარმატებას ვერ მიაღწიეს. პირიქით მოხდა — დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების გარდა, უკრაინამ დაკარგა ზაპოროჟიეს, ხერსონის ოლქები, ხარკოვის ოლქის დიდ ნაწილს რუსეთის ჯარები აკონტროლებენ. ამჯერად ბრძოლები ნიკოლაევის ოლქისთვის მიმდინარეობს. სამხედრო ექსპერტები აღნიშნავენ, ნიკოლაევის დაკავების შემდეგ რუსეთის არმია უკვე ოდესაზე განახორციელებს შეტევას. ადვილი შესაძლებელია, უკრაინამ აზოვის გარდა შავ ზღვაზე გასასვლელიც დაკარგოს.

წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად ექსპერტები უკრაინაში არსებულ კორუფციას ასახელებენ. ნაჩუქარი იარაღის მნიშვნელოვანი ნაწილი შავ ბაზარზე გაიყიდა, რაზეც შეშფოთებით საუბრობდნენ ინტერპოლში. აშშ-ში შექმნეს ჯგუფი, რომელიც უკრაინისთვის მიწოდებულ იარაღს აკონტროლებს. რუსეთის არმია ანადგურებს იარაღის საწყობებს, რაც ასუსტებს უკრაინის არმიის ბრძოლისუნარიანობას. უკრაინის არმიაში პროფესიონალ მებრძოლთა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, ამიტომ ბევრი მოუმზადებელი პირი მიჰყავთ ბრძოლის წინა ხაზზე. ასევე გამოცდილი პილოტების დეფიციტსაც განიცდიან. სლოვაკეთი აპირებს, უკრაინას გადასცეს საბჭოთა წარმოების მიგ-29 ტიპის თვითმფრინავები. აშშ-ში დაიწყეს ავღანელი მფრინავების გადამზადება, რომლებმაც შარშან დატოვეს სამშობლო. ახლა ავღანელი პილოტები დაიცავენ უკრაინას. რუსეთის ჯარების გარდა, უკრაინის არმია საკუთარ მშვიდობიან მოსახლეობასაც უტევს. დაბომბვის ფაქტები დაადასტურა საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეიშენელმა“, რითიც პრეზიდენტ ზელენსკის გულისწყრომა გამოიწვია. ამის გამო კიევის ოფისის ხელმძღვანელს თანამდებობის დატოვება მოუწია.

საერთაშორისი საზოგადოების განსაკუთრებულ შეშფოთებას ზაპოროჟიეს ატომურ ელსადგურზე განხორციელებული შეტევები იწვევს. უკრაინელები რუსეთისკენ იშვერენ ხელს, მაგრამ სადგურს მარტის თვიდან რუსეთის ჯარები აკონტროლებენ. ავარიის შემთხვევაში შედეგი იმაზე მძიმე და კატასტროფული იქნება, ვიდრე ჩერნობილის აეს-ის აფეთქების შემდეგ.

აშშ-ის არმიის თადარიგის პოლკოვნიკმა და ყოფილმა სენატორმა რიჩარდ ბლეიკმა გასულ კვირას განაცხადა: „ჩვენთვის სულ ერთია, რამდენი ათასი ბავშვი თუ ქალი დაიღუპება უკრაინაში. იქაური ომი ფეხბურთის მატჩს დაემსგავსა, რომელშიც ერთ-ერთი გუნდის გამარჯვება გვსურს“. ჩვენთვისაც საგულისხმოა ეს განცხადება. უკრაინის ხელისუფლება ამ დროს ფიქრობს, როგორ დააკანონონ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინება იქაური არსებული კონსტიტუციის გვერდის ავლით. თურმე უკრაინას სექსუმცირესობების მეტი არანაირი პრობლემა არ ჰქონია... ამასვე გვთავაზობდნენ ჩვენი დასავლელი „პარტნიორები“, რომ ჩვენც იგივე ნაბიჯები გადაგვედგა.

გია ბურდული
551 71 27 07

არა მარტო სინძო აბე...

იაპონიაში განხორციელებული ყველაზე ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობები

სულ ცოტა ხნის წინ განხორციელდა თავდასხმა იაპონიის ყოფილ პრემიერ-მინისტრ სინძო აბეზე, რომელიც წინასაარჩევნო მიტინგზე სიტყვით გამოდიოდა პატარა ქალაქ ნარაში. პრემიერი მიყენებული ჭრილობების შედეგად გარდაიცვალა. 41 წლის თავდაცვის ძალების ყოფილი მეზღვაური ტეცუია იამაგამი ზურგიდან მიეპარა მას და ორჯერ

ინუკაი ცუიოსი

ესროლა. ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა. იაპონია მომხდარით შოკირებული იყო, რადგან ამ კუნძულოვან სახელმწიფოში ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობა იშვიათი მოვლენაა. აბეს გვერდით მხოლოდ ორი მცველი იმყოფებოდა, გამოსვლის ადგილი კი შემოსაზღვრულიც კი არ იყო. ეს მით უმეტეს საოცარია იმ ქვეყნისთვის, სადაც პოლიტიკური მკვლელობები იშვიათი სულაც არ არის. თავის დროზე ლამის მკვლელის მსხვერპლი გახდა სინძო აბეს ბაბუაც, იაპონიის 57-ე პრემიერ-მინისტრი ნობუსუკე კისი.

გთავაზობთ იაპონიაში განხორციელებული ყველაზე ხმაურიანი მკვლელობების ისტორიას.

1921 წელი. ხალხიდან გამოსული პრემიერის მკვლელობა. 1921 წელს იაპონია მთავრობის მეთაურზე თავდასხმამ ააფორიაქა. ტაკასი ხარა — ხალხიდან გამოსული პირველი პრემიერი — ახალგაზრდა რკინიგზელმა მოკლა ტოკიოს სადგურზე. კონიჩი ნაკაოკა პოლიტიკოსს დანით დაესხა თავს... ცნობილია, რომ მუშა პრემიერის მოღვაწეობით უკმაყოფილო იყო და მას იმ სოციალურ პრობლემებში ადანაშაულებდა, რომლებმაც ქვეყანა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოიცვა.

მმართველობის დროს ხარა სისტემურ რეფორმებს ახორციელებდა და ქვეყანა გამალებული მილიტარიზმის გზიდან გადაჰყავდა. ის მხარს უჭერდა მშვიდობისმოყვარე ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო უილსონის იდეებს და მის „14 პუნქტს“, ამცირებდა სამხედრო ხარჯებს და გამოთავისუფლებულ თანხებს განათლების, სატრანსპორტო სისტემის, მრეწველობისა და კულტურის განვითარებაში დებდა. პრემიერი სტიმულირებას უწევდა კერძო და სახელმწიფო უნივერსიტეტების განვითარებას. მან, ასევე, ქვეყნის სარკინიგზო ქსელის მოდერნიზება მოახდინა. ტაკასი ხარას მიერ განხორციელებული ინოვაციებით იაპონია მომდევნო ათწლეულების განმავლობაში წარმატებით სარგებლობდა.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ხარაზე თავდასხმა ერთი „უკმაყოფილო“ მუშის ინიციატივა სულაც არ ყოფილა. შესაძლოა, მკვლელობა ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების წევრებმა დაგეგმეს. მკვლელობის ნამდვილი მიზეზები და გარემოებები უცნობი დარჩა.

1930 წელი. სროლა ტოკიოს სადგურზე. ტაკასი ხარას მკვლელობის შემდეგ ქვეყანა ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ქვეყანას რეფორმატორი პრემიერი აღარ ჰყავდა, მილიტარისტებმა კვლავ წამოწიეს თავი, საბოლოოდ, იაპონიას 1927 წლის მსოფლიო ეკონომიკურმა ცუნამიმ გადაუარა. რადიკალმა პოლიტიკოსებმა წამოაყენეს იდეა წყნარი ოკეანის რეგიონიდან აშშ-ის გაძევების შესახებ, უფრო ზომიერები კი ეკონომიკურ კრახთან გამკლავებას ცდილობდნენ.

ოსაში ხამაგუჩი მინისტრთა კაბინეტს სწორედ ამ კრიზისულ პერიოდში ჩაუდგა სათავეში. ის ცდილობდა, იაპონია ეკონომიკური ჭაობიდან ამოეყვანა. მისი მეთოდები გამომგონებლობით არ გამოირჩეოდა — ის მოუწოდებდა ეკონომიისკენ, იყო ასკეტიზმის მომხრე, მაგრამ კონკრეტულ სამაშველო ზომებზე ლაპარაკი არ ყოფილა.

დუღილის წერტილს ყველაფერმა 1930 წელს მიაღწია. ულტრამემარჯვენე ტერორისტი საგოია 14 ნოემბერს ტომეო ხამაგუჩის ტოკიოს სადგურზე ჩაუსაფრდა. ბოროტმოქმედმა პრემიერს ესროლა. ის გადარჩა, მაგრამ მაინც ამ თავდასხმის მსხვერპლი გახდა — ცხრა თვის შემდეგ ის ბაქტერიული ინფექციის შედეგად გარდაიცვალა.

1932 წელი. 15 მაისის გადატრიალების მცდელობა. ტოკიოს სადგურზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ულტრამემარჯვენეებმა ნამდვილი სასაკლაო მოაწყვეს. 1930 წლის ლონდონის სამშვიდობო ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ იაპონიის ფლოტის რაოდენობა სერიოზულად შეიზღუდა. ამ „ღალატზე“ განსაკუთრებით მწვავე რეაქცია ახალგაზრდა ოფიცრებს ჰქონდათ, რომლებსაც არსებული მთავრობის დამხობა და ძალაუფლების იმპერატორისთვის გადაცემა სურდათ. ოფიცრები დაუკავშირდნენ „სისხლის ლიგის“ წევრ რადიკალებს, რომლებმაც ფინანსთა ყოფილი მინისტრისა და კონცერნ „მიცუის“ გენერალური დირექტორის

ნობუსუკე კისი

მკვლელობები განახორციელეს.

ოფიცრებს და ულტრამემარჯვენეებს 1932 წლის 15 მაისს ხელისუფლების დამხობა ჰქონდათ დაგეგმილი. მანამდე კი იმ დროს ტოკიოში სტუმრად ჩასული ჩარლი ჩაპლინის მკვლელობა ჰქონდათ განზრახული, რაც ვერ განახორციელეს.

დანიშნულ დღეს შეიარაღებული ოფიცრები პრემიერ-მინისტრ ინუკაი ცუიოსის რეზიდენციაში შეცვივდნენ და ჩაცხრილეს.

ცუიოსის მკვლელები სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგნენ, მაგრამ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი ლმობიერი აღმოჩნდა — თითოეულს მხოლოდ რამდენიმე წლით ციხე შეეფარდა. სასიკვდილო განაჩენს ბოროტმოქმედებმა თავი საზოგადოების მხარდაჭერის წყალობით დააღწიეს — 350 ათასმა იაპონელმა ხელი მოაწერა პეტიციას მათი შეწყალების შესახებ, 11-მა ახალგაზრდამ კი მზადყოფნა გამოთქვა, რომ ოფიცრების ნაცვლად დაესაჯათ.

2022 წელი. სინძო აბეს მკვლელობა. 90 წლის შემდეგ ბოროტმოქმედის მსხვერპლი გახდა იაპონიის ყოფილი პრემიერი სინძო აბე, რომელიც მინისტრთა კაბინეტს ყველაზე დიდხანს ხელმძღვანელობდა და საკმაოდ გავლენიან პოლიტიკოსად მიიჩნეოდა, რომელიც გადადგომის შემდეგაც განაგრძობდა მოღვაწეობას.

8 ივლისის დილას აბე ქალაქ ნარაში ამომრჩევლების წინაშე არჩევნებამდე ორი დღით ადრე წარსდგა. მკვლელმა ორჯერ ესროლა მას თვითნაკეთი გადაჭრილი თოფიდან.

დამნაშავე მაშინვე დააკავეს. აბესთვის მიყენებული ჭრილობები სასიკვდილო აღმოჩნდა. პრემიერი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების რამდენიმესაათიანი ბრძოლის მიუხედავად, დიდი რაოდენობით სისხლის დაკარგვის გამო, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

მკვლელმა განაცხადა, რომ „უკმაყოფილო იყო მისი მმართველობით“ და „მისი მოკვლა სურდა“. იაპონიის მედიასაშუალებებმა კი გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს ტეცუია იამაგამის სხვა ადამიანის მოკვლა სურდა, რომელიც რელიგიურ ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

იაპონიაში განხორციელებული სხვა თავდასხმები. 1960 წელს ბოროტმოქმედის მსხვერპლი ლამის სინძო აბეს ბაბუა ნობუსუკე კისი გახდა. იმ წლებში პრემიერი პროამერიკულ პოლიტიკას ახორციელებდა შტატებთან თანაბარი პირობებით უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების დადების მიზნით. ყოფილ მოწინააღმდეგეებს შორის „მეგობრობის“ გამო ქვეყანა საპროტესტო აქციებმა მოიცვა, მაგრამ პრემიერი ამაზე არ რეაგირებდა. შედეგად, მემარჯვენე აქტივისტი მას რეზიდენციასთან ჩაუსაფრდა და დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა ფერდში. პოლიტიკოსი გადარჩა. ის 1987 წელს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა.

იმავე 1960 წელს „დიადი იაპონიის“ მომხრე თავს დაესხა იაპონიის სოციალისტური პარტიის ლიდერს ინედირო ასანუმას ტელევიზიით გამოსვლის დროს. დებატების დასასრულს ნაციონალისტი ოტოია იამაგუტი სცენაზე ავარდა და ხმლით ორი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ინედირო ასანუმა გარდაიცვალა.

1994 წელს თავდასხმის მსხვერპლი გახდა ყოფილი პრემიერი მორიხირო ხოსოკავა, რომელიც თანამდებობაზე ყოფნისას ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებებით გამოირჩეოდა. 1993 წელს მან აღიარა იაპონიის აგრესიული ქმედებები მეორე მსოფლიო ომის დროს. მანვე „კურილიის საკითხის“ მოგვარების მიზნით ხელი მოაწერა ტოკიოს დეკლარაციას. მას მემარჯვენე ექსტრემისტმა ესროლა, მაგრამ ააცილა.

უკანასკნელი ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობა იაპონიაში 2007 წელს მოხდა. მისი მსხვერპლი ნაგასაკის მერი იკჩო იტო გახდა. იაკუძას (იაპონური მაფია) წევრი ზურგიდან მიუახლოვდა მას და საარჩევნო კამპანიის დროს ორჯერ მიბჯრით ესროლა.

ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობების მხრივ იაპონიას არც სხვა ქვეყნები ჩამორჩება. ალბათ, მკვლელობები მანამდე გაგრძელდება, ვიდრე სამყარო იარსებებს, რადგან არასასურველი პოლიტიკოსებიც და მათი თავიდან მოცილების მსურველებიც ყოველთვის მრავლად იქნებიან...

მორიხირო ხოსოკავა

ბელა გველესიანი
568 90 81 22



მზის მეომრები

მზე გვაძლევს ენერგიას და ქმნის ჩვენი განწყობის საფუძველს. ჩვენ არ ვიცით ჩვენი სხეულისა და მზის ურთიერთქმედების მექანიზმი, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არსებობს. მაგალითად, მზის ელექტრომაგნიტური ველი გავლენას ახდენს დედამიწისა და ჩვენი სხეულის ელექტრომაგნიტურ ველზე. მეცნიერები დიდ დროსა და ენერგიას უთმობენ ადამიანის ფართო შესაძლებლების მტიცებულებათა ძიებას. ბრეთანიარიზმი, ანუ მზის ენერგიით კვება არ შედის პოპულარული სამეცნიერო ექსპერიმენტების ნუსხაში. მკვლევარები ვარაუდობდნენ, რომ საკვებსა და წყალზე ორგანიზმის მოთხოვნილების აღმოფხვრა სრულიად შესაძლებელია. ასე მაგალითად, ტესლამ 1901 წელს განაცხადა: „იდეის არსი, რომელიც მე მეკუთვნის, მდგომარეობს იმაში, რომ ცხოვრების განვითარებამ შეიძლება მიგვიყვანოს არსებობის სხვა ფორმებთან. ახლა კაცობრიობას საკვების გარეშე არსებობა ვერ წარმოუდგენია, მაგრამ მომავალში ჩვენ არ ვიქნებით ამით შეზღუდული. ცოცხალი არსება შეძლებს სასიცოცხლო ენერგიის შესანარჩუნებლად მიიღოს ყველაფერი გარემოდან, არა საკვებით, არამედ ქიმიური ნაერთების ენერგიად გარდაქმნის რთული პროცესის შედეგად. "ჩვეულებრივ მოკვდავისთვის საკვებისა და წყლისგან განთავისუფლება არარეალურად ჟღერს. თანამედროვე ბიოლოგიის თვალსაზრისით, ეს შეუძლებელია.

ისტორიამ არცთუ ცოტა შემთხვევა იცის, როცა შეუძლებელი მოულოდნელად გამხდარა შესაძლებელი. ბიგუს პრაქტიკა საკვებზე დამოკიდებულებას ხსნის. მეცნიერებამ შეისწავლა პრანული კვება, შედეგები ნამდვილად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. კვლევების ზოგიერთი შედეგი გამოქვეყნდა ჩინური მედიცინის ამერიკულ ჟურნალში. კერძოდ, იქ აღწერილი იყო ქალის ამბავი, რომელსაც შეუძლია ფიქრის ძალით ზემოქმედება მოახდინოს ზოგიერთი მარცვლოვანის ზრდაზე. ბევრი რელიგიისთვის მკაცრი მარხვა განუყოფელი ნაწილია. ჯაიანიზმისა და დაოსიზმისთვის ბრეთანიარელობამ საკვებისა და წყლის უარყოფა ექსტრემალურ დონემდე დაიყვანა. მათი დოქტრინის თანახმად, ყოველ ადამიანს სხეულისა და გონების გაძლიერებული ვარჯიშის შედეგად შეუძლია ისწავლოს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად საკვების გარეშე, ხოლო უფრო გამოცდილებსა და გაბრწყინებულებს წყლის გარეშეც არსებობა. ბრეთანიარიზმის არსი მდგომარეობს პრანას ცნებაში-მისტიკური ენერგია, რომელიც სანსკრიტზე ნიშნავს სასიცოცხლო ენერგიას.



ინდური ფილოსოფიის თანახმად, პრანა მოიცავს მთელ სამყაროს და მიედინება ყველა ცოცხალ არსებასა და უსულო საგანში. ის ასრულებს დიდ როლს იოგას პრაქტიკაში, ინდურ ტრადიციულ მედიცინასა და საბრძოლო ხელოვნებაში.

ბრეთანიარელებისთვის პრანა არის ადამიანის გაბრწყინებისთვის ენერგიის ერთადერთი წყარო. მაგრამ ამ დონის მისაღწევად, როცა შესაძლებელია მისით კვება, საჭიროა რამდენიმე ეტაპის გავლა, უარის თქმა საკვებსა და წყალზე თანდათანობით. როგორც ამტკიცებენ ამ კულტის მიმდევრები, პირველ რიგში, საჭიროა უარის თქმა ხორცეულზე-ვეგეტარიანელობაზე გადასვლა. ამის შემდეგ უნდა გახდე ვეგანი-უარის თქმა რძეზე, კვერცხზე, თაფლზე და სხვა ცხოველურ საკვებზე. საჭიროა კვება ხილით, უარის თქმა მყარ საკვებზე და ასე შემდეგ. ყოველი ეტაპი მიმდინარეობს მზის ქვეშ ჯდომის ხანგრძლივი სეანსებით, სასურველია თვალგახელილი. ამ ყველაფრის გულდასმით შესრულება და წლების განმავლობაში პრაქტიკა, ადრე თუ გვიან მიგიყვანს გაბრწყინებამდე და გახდები პრანას მომხმარებელი. ეს ნამდვილად, რომ ასე ხდება, ამის მტკიცებულებად ბრეთარიანელებს, როგორც წესი, მაგალითისთვის მოჰყავთ რამდენიმე ცნობილი ადამიანი.

ერთი მათგანია ინდოელი იოგი პრაჰლად ჯანი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ დიდი ხმაური გამოიწვია პრესაში, როცა განაცხადა, რომ სამოცდაათი წელი იცხოვრა საკვებისა და წყლის გარეშე, იკვებებოდა მხოლოდ ჰაერით და სინათლით. პრაჰლად ჯანი ამტკიცებდა, რომ თერთმეტი წლის ასაკში მას გამოეცხადა ქალღმერთი ამბა და უთხრა, რომ ის აღარასდროს მიიღებდა საკვებს. 1970 წლიდან ინდუსი ცხოვრობდა გამოქვაბულში, სადაც წლები გაატარა საკვების გარეშე. 2012 წელს მას ოთხმოცდაერთი წელი შეუსრულდა. მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეს უპრეცედენტო შემთხვევა ორჯერ. ორივეჯერ კვლევა ტარდებოდა ჰოსპიტალში ქალაქ აჰმადაბაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფესორ-ნევროლოგი სუდჰირ შაჰი. პირველი კვლევა ჩატარდა 2003 წელს. პრაჰლად ჯანი დააწვინეს ცალკე პალატაში. მას მუდმივ მეთვალყურეობას უწევდა სამედიცინო პერსონალი, ჩართული იყო სათვალთვალო კამერები ოცდაოთხი საათის განმავლობაში. კვლევა მიმდინარეობდა ათი დღე. ამ ხნის განმავლობაში მამაკაცს არც უჭამია და არც წყალი დაულევია. ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, ჯანის სხეულს ფიზიოლოგიური ცვლილებები არ განუცდია. თანამედროვე მედიცინის კუთხით ეს შეუძლებელია, ბიოლოგიურად კი ექსპერიმენტის მიმდინარეობისას მამაკაცი უნდა დაღუპულიყო. მეცნიერები გააოცა ფიზიოლოგიური ცვლილებების არარსებობამ მამაკაცის სხეულში. მეორე ცდა ჩატარდა 2010 წელს იმავე საავადმყოფოში. ამ შემთხვევაში მამაკაცს თვალყურს ადევნებდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის და სხვა სერიოზული ორგანიზაციების ოცდათხუთმეტი მკვლევარი. ამჯერად პრაჰლად ჯანი არ ჭამდა და არ სვამდა ორი კვირა. ამ შემთხვევაშიც, მეცნიერებმა ვერ შეამჩნიეს თავშეკავების უარყოფითი შედეგები ორგანიზმზე. ტესტის შედეგები არ გამოქვეყნებულა სამეცნიერო გამოცემებში, თუმც მეცნიერულმა საზოგადოებამ იცოდა ამ ექსპერიმენტების შესახებ. სკეპტიკოსები ეჭვობდნენ, რომ პრაჰლად ჯანის შეეძლო თავისი მოწაფეების დახმარებით, მომსახურე პერსონალის გვერდის ავლით, რაღაც საკვების მიღება ან დალევა. თუმცა ჰოსპიტლის თანამშრომლები ამტკიცებდნენ, რომ მამაკაცს ოცდაოთხი საათის განმავლობაში უთვალთვალებდნენ ექსპერიმენტის მოთხოვნილების შესაბამისად. მხოლოდ 2012 წელს განაცხადა მეცნიერთა ჯგუფმა: "ჩვენ მივხდით, რომ ასეთი მოვლენა ნამდვილად არსებობს. პრაჰლად ჯანიმ საკუთარი სხეულის შესაძლებლობები თხუთმეტი დღის განმავლობაში გვიჩვენა. გადავწყვიტეთ, რომ არ მოვახდინოთ ამ შემთხვევის იგნორირება და შევისწავლოთ ის ყოველმხრივ. კვლევის მიზანია არა ბრეთარიანელობის დამტკიცება ან უარყოფა, არამედ პრაქტიკული მეცნიერების სფეროში მისი როგორც ახალი მოვლენის შესწავლა. "დარწმუნებული ვარ, რომ შიმშილი საერთოდ არ არსებობს", — ამბობს ჯენეზის სანფაიერი, რომელსაც მზის მეომარი დაარქვეს. მას უკვე სამი წელია არაფერი უჭამია. სანფაიერი ბრიტანელია. მისი ნამდვილი სახელი და გვარია რიჩარდ ბლექმენი. ახალი სახელი და გვარი თავად აირჩია. **Genesis**-წარმოშობა, **Sunfire**-მზის ცეცხლი. ბავშვობიდან მისდევდა სპორტს, თამაშობდა რაგბს. მოგვიანებით გახსნა ფიტნეს კლუბი და გახდა ფიტნეს მწვრთნელი. ეს ადამიანი ამტკიცებს, რომ სამი წელიწადია რაც ბრეთარიანელია და მზის ენერგიით იკვებება. ის ამბობს,რომ მისი სხეული თავად გამოიმუშავებს აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს. ბრეთარიანელობა მან თვრამეტი წლის ასაკიდან დაიწყო. თავიდან უარი თქვა მომზადებულ, გადამუშავებულ საკვებზე, შემდეგ გადავიდა ხილით კვებასა და წვენების მიღებაზე. ასეთ დიეტაზე გაატარა მან ათი წელი. სამი წლის წინ კი საერთოდ უარი თქვა საკვებისა და სითხის მიღებაზე. ერთი რამ ეჭვგარეშეა და ერთმნიშვნელოვან გაოცებას იწვევს ორმოცდახუთი წლის ეს მამაკაცი, თავისი ასაკისთვის მშვენივრად და უფრო ახალგაზრდად გამოიყურება."საკუთარ თავზე მუშაობას წლები მოვანდომე რომ გამეგო, რასაც "შიმშილს" ვუწოდებთ, სინამდვილეში უბრალოდ საკვებზე ემოციური დამოკიდებულების ერთობლიობაა, ასევე საკვების მომნელებელი ტრაქტის იმ პროდუქტებით გაფართოება და შეკუმშვაა, რომელიც იქ მოხვდა. როგორც კი ამ ორი ფაქტორისგან განთავისუფლდებით, "შიმშილის გრძნობა" სამუდამოდ გაქრება." - ამბობს ჯენეზისი. კიდევ ერთი ცოცხალი ლეგენდაა ავსტრალიელი მეცნიერი, თვრამეტი წიგნის ავტორი ჯანმუხინი. მას, ოცი წელია არანაირი საკვები არ მიუღია, ზრდის შვილებს და მეცნიერული კვლევებითაა დაკავებული. ასეთი მაგალითები გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. გერმანელმა ექსტრასენსმა, ტერეზა ნოიმანმა ოცდათექვსმეტი წელი იცხოვრა საკვების გარეშე. მას, ყოველწლიურად ასობით მომლოცველი სტუმრობდა მშობლიურ ქალაქში.

ამბობენ, რომ ახლა დედამიწაზე ოცდაათი ათასზე მეტი ასეთი ადამიანია. რომლებიც წლებია არ იღებენ საკვებს, წყალს და ამავდროულად თავს შესანიშნავად გრძნობენ. გარეგნულად, აბსოლუტურად ნორმალური ადამიანები არიან, რომლებსაც არ აქვთ დისტროფიის არცერთი მინიშნება, მაგრამ კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აჩვენებს, რომ შეუძლებელია საკვების გარეშე ცხოვრება . უნებურად ჩნდება ეჭვი, „გვატყუებენ?. „მზის მჭამელების“ აზრით, ყველა ადამიანი იკვებება მზის მეორადი ენერგიით, რომელიც წყალმა, ბოსტნეულმა და ხილმა მათზე ადრე უკვე მოიხმარა. სპეციალისტები, რომლებმაც შეისწავლეს „მზის მჭამელები“, მივიდნენ დასკვნამდე, რომ ეს არის განსაკუთრებული სახის ტრანსმუტაცია. შედეგად, ადამიანებმა შეიძინეს ჰაერიდან ტენის, ხოლო კოსმოსიდან ენერგიის ათვისების უნარი. მსოფლიოს ყველა ეზოთერული სწავლება საუბრობს კოსმიური ენერგიის პრანას, არსებობაზე (რომელიც სამყაროს მოიცავს). ასე რომ, პრანას ჭამა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომელთა ტვინიც გარკვეულ ვიბრაციაზეა მორგებული. მზის მჭამელთა ტვინის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ის განსხვავებულად მუშაობს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანების. სულისა და სხეულის მდგომარეობა იცვლება იმის გამო, რომ ისინი ყველაფერს იჭერენ ქვედა ვიბრაციებზე.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

ჩვენი გაზეთის უცვლელი მთავარი რედაქტორის, ვახტანგ ხარჩილავას ქალიშვილს, ახალგაზრდა დედას, მშვენიერ ქალბატონსა და ნიჭიერ პროდიუსერს

გვანცა ხარჩილავას

ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ულევ ბედნიერებას, სიხარულსა და წარმატებებს პროფესიულ საქმიანობაში.

„საერთო გაზეთი“

მადლობის წერილი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერს კაპიტონ ჟორჟოლიანს და მის გუნდს

ბატონო კაპიტონ,

მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ დიდი შრომისა და კეთილი საქმეებისათვის, რაც თქვენ გასწიეთ 2022 წელს მესტიაში, კერძოდ, ლაჩვალში.

თქვენი მონდომებითა და მხარდაჭერით არაერთი კარგი საქმე გაკეთდა და კეთდება. მიხარია, რომ მესტიას ჰყავს ასეთი კეთილი და შრომისმოყვარე მერი, რომელსაც ყოველთვის გულთან მიაქვს მოსახლეობის გასაჭირი და ითვალისწინებს ხალხის აზრს.

წარმატებებს გისურვებთ თქვენს რთულ და საპასუხისმგებლო მოღვაწეობაში.

პატივისცემით

გენადი ხერგიანის ოჯახი

საქართველო - ისრაელის ერთობლივი კლინიკა „გიდმედი“ მიეკუთვნება იმ კლინიკათა რიცხვს, სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მკურნალობა და დიაგნოსტიკა შერწყმულია ურთულეს ოპერაციებთან, რომელსაც მაღალი კლასის პროფესიონალები ატარებენ.

კლინიკა „გიდმედი“ მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

მუცლის ღრუს ქირურგია; ლაპარასკოპიული ქირურგია; უროლოგია; პლასტიკური ქირურგია; პროქტოლოგია; ნეიროქირურგია; ანგიოქირურგია; ხალების კანის და რბილი; ქსოვილების სიმსივნური წარმონაქმნების ცენტრი; ონკოქირურგია.



ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს. არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 577 43 25 13

კოვიდი ვინც გადაიტანა, „გულის ელექსირი“ ყველამ უნდა მიიღოს!

უნიკალური ლიცენზირებული ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი“**, რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგულე საშუალება გახდა. **„გულის ელექსირი“** შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება გახდეს პირველი ქართული ჰომეოპათიური წამალი, რომელიც ევრო-

კავშირის წევრ ქვეყნებშიც თავისუფალ გაყიდვაში იქნება.

„გულის ელექსირის“ შემქმნელმა ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა **კახა საბახტარიშვილმა** თითქმის 15 წელი მოანდომა **„გულის ელექსირის“** ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. **„გულის ელექსირი“** ყველა აფთიაქში რეცეპტის გარეშე გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ყოფნის 1 თვეზე მეტხანს!

გულის ელექსირი ყველა საფთიაქო ქსელშია: 593 31 70 34

დაგვიანებით ვუსამძიმრებთ შესანიშნავ ექიმ-რეპროდუქტოლოგს, მედიცინის აკადემიურ დოქტორს, ქალბატონ ლალი ფხალაძეს მამის, დამსახურებული მშენებელი ინჟინრის, საუკეთესო ადამიანის, ბრწყინვალე მამულიშვილის

კონსტანტინე ფხალაძის

გარდაცვალების გამო.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99